# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№34-35 (9865-9866) 2025 წლის 10 მარტი, ორშაბათი


მიხეილ ჯიბუტი: 6 ეს გამაოგნებელია!..

## მართლმადიდებლური ეკლესიის საბიუჯეტო დისკრიმინაცია საქართველოში



## აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

8 9





გიორგი ბაჩიაშვილი

...,,ბაჩიაშვილი ცივსისხლიანად გეგმავდა იმ ადამიანის ლალატსაც, რომელმაც კაცად აქცია და გზაზე დააყენა"

4



ბიძინა ივანიშვილი

თეიმურაზ ქორიძე:

## სიმღერა გამორექიმებულ რადიკალებზე, ანუ რუსთაველიდან გურ-ემირის მავზოლეუმამდე

იხ. 2 გვ.



ქალმა მთელი საქართველოს დასანახად, დემონსტრაციულად და ცინიკურად სილა გააწნა პოლიციელს და, თურმე, ეს დანაშაული კი არა, ,,ივანიშვილის რეჟიმის" წინააღმდეგ მიმართული ჟესტი ყოფილა!

ბესარიონ ხვინთელიანი:



12

## ცრემლი სევდისა და მონატრებისა

## ქართველთა ტრიუმფი ავსტრიაში

ავსტრიაში გამართულ ძიუდოს გრანპრის დასკვნით დღეს ხუთი ქართველი სპორტსმენი ასპარეზობდა – ტატო გრიგალაშვილი, გიორგი ჯაბნიაშვილი (ორივე 90კგ), იმედა გოგოლაძე (100კგ), გურამ თუშიშვილი და შალვა გურეშიძე (ორივე +100კგ).



მსოფლიო ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონმა გურამ თუშიშვილმა, რომელმაც დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველად იჭიდავა, ავსტრიის ტურნირზე სამი გამარჯვება მოიპოვა და ფინალში გავიდა, სადაც იგი ჩეხ კრპალეკს შეხვდა. თუშიშვილი ფინალშიც უძლეველი იყო!

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ტატო გრიგალაშვილმა და 21 წლის გიორგი ჯაბნიაშვილმა, ტატოს ტრამვის გამო პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს, ჯაბნიაშვილს – ოქრო, გრიგალაშვილს – ვერცხლი.



გილოცავთ, ბიჭებო!

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა
პუბლიცისტური სცენა
№34-35. ორშაბათი. 10 მარტი. 2025 წელი

**ვიდრე ჩემი სიმღერით ქართველი რადიკალების ტკბობას შევუდგებოდე, ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა ამ ბოლო დროს ერთი მეტისმეტად გაპოპულარებული ტერმინის თაობაზე ვთქვა.**

**მართალია, „რეჟიმი“ ფრანგული წარმომავლობისა გახლავთ (Regime), მაგრამ იგი ქართულ ენაში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში რუსულიდან დამკვიდრდა და გასაკვირი სულაც არ არის, რომ ბევრს დღესაც რუსული ჰგონია. ქართველი ძალად ანტირუსების ამ ტერმინით ასე ჯიუტად მანიპულირებაც („რუსული რეჟიმი“, „ოცნების რეჟიმი“, „ივანიშვილის რეჟიმი“...) ამ მცდარ წარმოდგენას უნდა უკავშირდებოდეს.**



# სიმღერა გამორეჟიმებულ რადიკალებზე,

## ანუ რუსთაველიდან გურ-ემირის მავზოლეუმამდე

**პირდაპირი გაგებით, ეს არის სახელმწიფო წყობილება, მმართველობის წესი, რომელიც ვერ ჰგუობს, აბსოლუტურად შეუთავსებელია დემოკრატიზმის პრინციპებთან. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ტოტალიტარული მმართველობის, დესპოტიზმის აღმნიშვნელი ტერმინი. ამავე დროს, მმართველობის გარდა „რეჟიმით“ აღინიშნება, ზოგადად, ცხოვრების, კვების, დასვენების, მკურნალობის წესები (ცხოვრების რეჟიმი, დასვენების რეჟიმი, კვების რეჟიმი, მკურნალობის რეჟიმი...)**

**გუნებრივია, ამ მმართველობითი სისტემის მეტნაკლებად მცოდნე ადამიანებზე დამთრგუნველად მოქმედებს გასული საუკუნის საბჭოთა, განსაკუთრებით, 30-იანი წლების რეჟიმის გახსენება (ერთპარტიული მმართველობა, სიტყვის თავისუფლების არარსებობა, დასმენები, დახვრეტები, გადასახლებები...). სხვათა შორის, ჰიტლერის მმართველობის წლების გახსენებისას ასეთივე, კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა გერმანიაშიც. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო 15-20 წლის წინათ.**

**თანამედროვე მსოფლიოში ტოტალიტარული მმართველობითი რეჟიმის კლასიკური მაგალითია ჩრდილოეთ კორეის ეგრეთ წოდებული სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.**

კორეის ხელისუფლებას ქვეყნის ყველა მოქალაქის შესახებ გააჩნია სრული ინფორმაცია მისი წარსულის, პოლიტიკური მრწამსის, განათლების, სოციალური და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. კონტროლდება აბსოლუტურად ყველა და ყველაფერი; არ არსებობს თავისუფალი მედია; მოქალაქეებს სასტიკად ეკრძალებათ უცხოური რადიო და ტელეგადაცემებით სარგებლობა (ისჯება თავისუფლების აღკვეთით); ადგილობრივი საინფორმაციო არხებით ვრცელდება, ძირითადად, მკაცრად გაფილტრული პროპაგანდისტული მასალები. მოქალაქეებს სასტიკად ეზღუდებათ გადაადგილების უფლება თვით ქვეყნის შიგნითაც კი. უცხოეთში გამგზავრება ხომ, საერთოდ, ყოველგვარი წარმოსახვის მიღმა დგას.



ქალმა მთელი საქართველოს დასანახად, დემონსტრაციულად და ცინიკურად სილა გააწნა პოლიციელს და, თურმე, ეს დანაშაული კი არა, „ივანიშვილის რეჟიმის“ წინააღმდეგ მიმართული ჟესტი ყოფილა!

ქვეყანაში მოქმედებს ეგრეთ წოდებული „სამუშაო ბანაკები“, სადაც, სხვადასხვა მონაცემებით, დღეისათვის „დასაქმებულია“ (ანუ მონურ შრომას ეწევა) 250-დან 300 ათასამდე ადამიანი. მათგან ყოველწლიურად 15 ათასამდე ადამიანი იღუპება. განსაკუთრებით სავალალოა ჩრდილოკორეელი ქალების უფლებრივი მდგომარეობა. ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, აქაურ ქალებს არ გააჩნიათ არავითარი უფლება შარვლის ტარებისა და ორიგინალური საქორწინო კაბის შეკერვის ჩათვლით.

დაახლოებით 25-მილიონიანი ქვეყნის უზენაესი მმართველია წინა მმართველის, კიმ ირ სენის ერთ-ერთი ვაჟიშვილი ერთ-ერთი ცოლისგან კიმ ჩენ ინი. ფაქტობრივად, იგია უმაღლესი კანონმდებელიც, აღმასრულებელიც და მოსამართლეც. მისი უფლებები უკიდეგანოა – შეუძლია სიკვდილით დასაჯოს თვით უმაღლესი სამხედრო ჩინის ოფიცერიც კი მხოლოდ იმის გამო, რომ საკმაოდ გულწრფელად არ ღვრიდა ცრემლს კიმ ჩენ ინის ბებიის გარდაცვალების გამო.

ძალიან მოკლედ, ასეთია ჩრდილოკორეული რეჟიმის არსი. მისგან დიდად არ განსხვავდება ირანული, ავღანური, კოლუმბიური და სხვა რეჟიმები. რაც შეეხება დღევანდელ რუსეთს, პუტინის ხელისუფლების „რეჟიმთან“ გაიგივება, რბილად რომ ვთქვა, გაუგებრობა, უფრო სწორად, ანტირუსული პროპაგანდისტული თაღლითობაა. ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ პუტინის რუსეთი არ არის უნდო და აგრესიული ქვეყანა, სადაც დემოკრატიზმის პრინციპები ყვავის.

რეჟიმის არსზე, ფორმებზე, წარმოშობის წყაროებზე, თავისებურებებზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ სჯობს საქართველოს სინამდვილეს დავუბრუნდეთ. რაც ვთქვი, ისიც იმ გულუბრყვილო ახალგაზრდებისა და იმ „პოლიტიკოსების“ გასაგონად, ვინც უკვე ას დღეზე მეტია დედის გინებით, „ულა-ულას“ ძახილით და ევროკავშირის დროშების ფრიალით საქართველოში „ოცნება-ივანიშვილის რეჟიმის“ დამარცხებას გვპირდებიან.

**ორი თვეა, არ წყდება სპეკულაციები ჟურნალისტ მზია ამაღლობელის „უკანონო“ დაპატიმრებასთან დაკავშირებით. ქალმა მთელი საქართველოს დასანახად, დემონსტრაციულად და ცინიკურად სილა გააწნა პოლიციელს და, თურმე, ეს დანაშაული კი არა, „ივანიშვილის რეჟიმის“ წინააღმდეგ მიმართული ჟესტი ყოფილა! არადა, საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი ქმედება ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სხვათა შორის, ამ ქალბატონის ჟურნალისტობის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი ჯერჯერობით ვერ მოვიპოვე. ხოლო თუ გაზეთის ან ტელევიზიის დამფუძნებლობა ჟურნალისტობას ნიშნავს, მაშინ საქართველოს ისტორიაში ერთი უდიდესი ჟურნალისტი ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებელი ბადრი პატარკაციშვილი ყოფილა!**

უკვე ას დღეზე მეტია თბილისსა და სხვა ქალაქებში მიმდინარე აქციები, გზების გადაკეტვები, უბრალო მოქალაქეებისა და პოლიციელების ბინძური შეურაცხყოფები, ქვების სროლები, მოქალაქეთა პირადი ქონების განადგურება და შენობებში შეჭრის მცდელობებიც, თურმე, არაფერია სიტყვის თავისუფლად გამოხატვის გარდა.

საქართველოში „ივანიშვილის რეჟიმი“ მძვინვარებსო და ამ დროს პირადად ივანიშვილს (და მისი ოჯახის წევრებს!) უმძიმეს შეურაცხყოფებს აყენებენ. ქვეყნისთვის მილიარდობით დოლარის ქველმოქმედების გამწევ, სააკაშვილის ტირანიისგან განმათავისუფლებელ ქართველ კაცს მექრთამეს, სახელმწიფო ბიუჯეტის მფლანგველს, ქვეყნის გამყიდველს, რუსეთის აგენტს უწოდებენ... „ივანიშვილის რეჟიმის“ მოთარეშე ქვეყნიდან დაუბრკოლებლად მოგზაურობენ ევროპასა და ამერიკაში ივანიშვილისა და მისი გუნდის დასასმენად, ნაირ-ნაირი სანქციების დასაწესებლად და საეჭვო ყოფაქცევის ყოვლისშემძლე მფარველების დახმარებით ამას აღწევენ კიდეც!

საქართველოში „ივანიშვილის რეჟიმი“ მძვინვარებსო და, ეს ადამიანები, თავიანთ სიცოცხლეში უსაგნო ლაყბობის გარდა რომ არაფერი უკეთებიათ, პირადად ივანიშვილს, ქვეყნის მმართველი პარტიის დამფუძნებელსა და მის საპატიო თავმჯდომარეს საჯაროდ „ჭორვილეელ ხიხოდ“ მოიხსენიებენ...





კიმ ჩენ ინი



თემურ-ლენგი

საქართველოში „ივანიშვილის რეჟიმი“ მძვინვარებსო და ამ დროს საქართველოდან დაუბრკოლებლად გარბის პირადად ბიძინა ივანიშვილის ათეულ მილიონობით დოლარის მომპარავი და ამისთვის სამართალში მიცემული ვინმე გიორგი ბაჩიაშვილი...

**საქართველოში „ივანიშვილის რეჟიმი“ მძვინვარებსო და ამ დროს, უკვე თითქმის 13 წელიწადია, ყოველდღე ოპოზიციური ტელეეკრანებიდან და გაზეთების ფურცლებიდან, ქუჩის, საპარლა-**

**მენტო და ოპოპარტიული ტრიბუნებიდან განუწყვეტლივ ისმის პირადად ბიძინა ივანიშვილის, მისი ოჯახის, მმართველი პარტიისა და მისი ლიდერების თავზეხელაღებული ლანძღვა-გინება და ცილისწამება. რაც ყველაზე საოცარია, ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ ის ადამიანები, რომლებიც პირადად არიან დავალებული ივანიშვილისგან. ზოგი საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლითაც კი!**

ეს ნამუსგარეცხილობა ზოგჯერ ანეკდოტურობამდეც კი მიდის.

ქართველი თვითმარქვია ოპოზიციის კიდევ ერთი აშკარად ყალბი აღშფოთება პრემიერ კობახიძის უზბეკეთში ვიზიტმა გამოიწვია. თურმე, ნუ იტყვით და, შუა აზიის ამ 30-მილიონიან ქვეყანაში საქართველოს პრემიერი არ უნდა ჩასულიყო! რატომ არ უნდა ჩასულიყო? – იმიტომ, რომ... თურმე, მონღოლთა იმპერიის ერთ-ერთი მემკვიდრე უზბეკეთი საქართველოს ყურადღებას არ იმსახურებს... რატომ არ იმსახურებს? – იმიტომ არ იმსახურებს, რომ უზბეკეთი ჩვენი ისტორიული მტრის, თემურ-ლენგის სამშობლოა. ჩვენა კიდე – მიშა სააკაშვილისა! უზბეკეთი ღრმა აზიური ქვეყანაა, ჩვენა კიდე, ევროპისკენ მივექანებით, თანაც – უკან მოუხედავად!

პრემიერმა კობახიძემ თავი მოგვჭრა, ტაშკენტში თემურ-ლენგის საფლავზე ყვავილები მიიტანაო – ატეხილია ერთი ვაი-უშველებელი მედიაში და ინტერნეტსივრცეში. მეტი დამაჯერებლობისთვის აქა-იქ „ნეიტრალური“ პერსონების (ვთქვათ, ვინმე 90 წელს მიღწეული ბებოს) სახელსაც ეფარებიან. გავბედავ და, შეგახსენებთ, რომ თემურ-ლენგი იგივე ლანგ-თემური, იგივე ტამერლანი, იგივე ხოჯა-ილგარი (1336-1405 წ.წ.) აღიარებულია ერთ-ერთ უდიდეს მხედართმთავრად და პოლიტიკურ მოღვაწედ კაცობრიობის ისტორიაში. მან გაანადგურა ხაზართა სახელმწიფო, დაიპყრო თითქმის მთელი შუა აზია, ირანი, ინდოეთი, ამიერკავკასია და თურქეთის სასულთნო. აი, ამ კაცმა რვაჯერ ილაშქრა საქართველოში და საბოლოოდ, ჩვენი ქვეყნის სრულად დამორჩილება მაინც ვერ მოახერხა. ჩვენმა წინაპრებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მაშინდელი მსოფლიოს უდიდეს და უძლიერეს დამპყრობელს და ამით შეგვიძლია მხოლოდ ვიამაყოთ!

**ქართველი კაცის მხრიდან თემურ-ლენგის საფლავის მონახულება არ ნიშნავს მადლობის გადახდას 600-ზე მეტი წლის წინათ მისი საქართველოში ლაშქრობების გამო. ეს ნიშნავს პატივისცემის გამოხატვას დღევანდელი უზბეკი ხალხის და უზბეკეთის ხელისუფლების მიმართ. უფრო კონკრეტულად, ეს არის ყოვლად ბანალური დიპლომატიური ჟესტი.**

ახლა ცოტა უფრო კონკრეტულად კობახიძის უზბეკეთში, კერძოდ, ტაშკენტში ვიზიტის შესახებ.

გავრცელებული ინფორმაციით, კობახიძემ მოინახულა და ყვავილებით შეამკო უზბეკეთის თავისუფლების მემორიალი ტაშკენტში, სადაც ბევრ სხვასთან ერთად, თემურ- ლენგის ძეგლიც დგას. **თავად თემურ-ლენგი კი აგერ უკვე 620 წელიწადია განისვენებს არა ტაშკენტში, არამედ მის მიერ შექმნილი იმპერიის დედაქალაქ სამარყანდში, გურ-ემირის მავზოლეუმის ღრმა იატაკქვეშეთში.** დიდი ხნის წინათ, მეც მქონდა პატივი მისი სარკოფაგი მომენახულებინა. ვერ გეტყვით, ახლა რა ხდება, მაგრამ მაშინ მავზოლეუმის შენობაში ყვავილების შეტანა სასტიკად იკრძალებოდა.

ირაკლი კობახიძეს რომ მოენდომებინა კიდეც, ტაშკენტში თემურ-ლენგის საფლავს ვერ აღმოაჩენდა და ვერც ვარდ-ყვავილებით შეამკობდა.

ცოტა არ იყოს, ვღელავ, მაგრამ გავბედავ და, რვა მარტის ლამაზ დღესასწაულს მოგილოცავთ, ძვირფასო ქალბატონებო. საქმე ის არის, რომ ბოლო დროს ისევ ოპოქალბატონების ინიციატივით ვრცელდება ცრუ ინფორმაციები ამ დღესასწაულის „კომუნისტურობისა“ და „ქართული რეჟიმის“ მიერ მისი სათავისოდ გამოყენების მცდელობაზე. იშველიებენ პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის გამონათქვამს. ქალბატონი თინათინ მღვდლიაშვილი მართლაც კარგი პოეტია და ამ დღესასწაულის წარმოშობის არცოდნა მის პოეზიას ვერაფერს ავნებს.

**8 მარტის სსრკ-სთან და საბჭოთა კომუნისტურ რეჟიმთან დაკავშირება სწორი არ არის. კლარა ცეტკინი (აისნერი), მართალია, საბჭოთა კავშირში გარდაიცვალა, მაგრამ საბჭოთა მოღვაწე არ ყოფილა – გერმანიის სოციალისტური პარტიისა და ამ პარტიიდან რაიხსტაგის მრავალგზის წევრი იყო. 1933 წელს, ხელისუფლების სათავეში მისვლისთანავე იგი ჰიტლერმა გერმანიიდან გააძევა და თავი საბჭოეთს შეაფარა, სადაც იმავე წლის ივნისში გარდაიცვალა კიდეც. თუ ისტორიას ვენდობით, მის დაკრძალვაში 600 000 ადამიანი მონაწილეობდა. მისი ფერფლი დაკრძალულია კრემლის კედელში. როზა ლუქსემბურგთან და სხვებთან ერთად იგი მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა ქალთა უფლებებისათვის. ამის ერთ-ერთი შედეგია ქალთა დღე, 8 მარტი, რომელიც კლარა ცეტკინის ინიციატივით ჯერ კიდევ 1910 წელს დაარსდა კოპენჰაგენში, სოციალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე და უკვე 115-ე წელია საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნება.**

**დაბოლოს, ჩემი გულწრფელი რჩევა თანამემამულე დიდ-პატარა ოპოზიციონერებს – სანამ „რეჟიმზე“ ილაპარაკებთ, იქნებ დაინტერესდეთ და მისი მნიშვნელობა გაარკვიოთ.**



**თეიმურაზ ქორიძე**

9. 03. 2024



## მაკა ბოჭორიშვილი ნიუ იორკში მიემგზავრება

**საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი ნიუ იორკში მონაწილეობას მიიღებს გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის (CSW) 69-ე სესიაში, რომლის ფარგლებშიც ის დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართავს.**

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, ღონისძიების ფარგლებში მაკა ბოჭორიშვილი შეხვედრას გამართავს გაეროს გენერალური ასამბლეის 79-ე სესიის პრეზიდენტთან, ფილემონ იანგთან.

ასევე, სესიის ფარგლებში მინისტრი მონაწილეობას მიიღებს ქალთა სტატუსის კომისიისა და პეკინის დეკლარაციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ მაღალი დონის ღონისძიებებში.

# ოპოზიციური ღლიცინის ხანა...

## ყოფილი პრეზიდენტის სამოქმედო გეგმის უმოქმედობა და უპერსპექტივობა!

**ბოლო პერიოდში აქტიურად მიდის საუბარი საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ პლატფორმის ჩამოყალიბებასა და გაერთიანებაზე. ამ დროისთვის, ზურაბიშვილი „საერთო დოკუმენტზე“ მუშაობს, თუმცა, ჯერჯერობით, შინაარსი ცნობილი არ არის. როგორც ოპოზიციაში ამბობენ, დოკუმენტი უახლოეს პერიოდში გასაჯაროვდება. მანამდე კი, ყოფილი პრეზიდენტი კონსულტაციებს მართავს როგორც ელჩებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე აქტივისტებთან და ოპოზიციონერებთან. ანალიტიკური და პოლიტიკური წრეების ერთი ნაწილისთვის გაუგებარია, კონკრეტულად რა იგულისხმება ამ პლატფორმაში. მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ მზად არიან შეუერთდნენ და მონაწილეობა მიიღონ ამ პლატფორმის შექმნაში, რათა „გაერთიანდნენ მომავლისთვის“.**




ანალიტიკოსი, **ვახტანგ ძაბირაძე** For.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ ზურაბიშვილის მიერ წამოწყებულ ინიციატივებს არც გაგრძელება და არც რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. მისი შეფასებით, აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს, კონკრეტულად რა პლატფორმის ჩამოყალიბებაზეა საუბარი.

როგორც ანალიტიკოსმა თქვა, ზურაბიშვილს ქვეყნის გარეთ რეიტინგი და გავლენები აქვს, თუმცა რთულია იგივე ითქვას უშუალოდ ქვეყნის შიგნით მის მიმართ დამოკიდებულებაზე.

**„ზურაბიშვილს საზოგადოებაში რეიტინგი ნამდვილად აქვს, მაგრამ მისი გაზომვა ცოტა რთულია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზურაბიშვილი, ფაქტობრივად, გადავიდა ოპოზიციაში. რაც შეეხება ქვეყნის გარეთ, ის ოპოზიციის უპირობო ლიდერია - მას ხვდებიან, ელაპარაკებიან და ღებულობენ ისე, როგორც საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს. ამიტომ, მას რაღაც გავლენები და მექანიზმები ნამდვილად აქვს, მაგრამ ქვეყნის შიგნით რამდენად შეძლებს ოპოზიციური, პოლიტიკური საზოგადოების მობილიზებას და გაერთიანებას, ეს ცოტა რთული სათქმელია. ეს პროცესია და როგორც ჩანს, ჯერ ვერ ხედავს თავის ადგილს და როლს ქვეყნის შიგნით“...**

* * *

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** თვლის, რომ ზურაბიშვილის მიერ დაწყებულ ინიციატივას რაიმე შედეგი არ მოჰყვება.

**„ზურაბიშვილი იქნება „პოპულარული“ იმ დრომდე, ვიდრე სჭირდებათ გვარამიასთან, მელიასთან, მაჭუტაძესთან და ასეთ ხალხთან. სხვა მხრივ, საზოგადოებაში მისი რეიტინგი არის მინუსებში გადასული. ეს არის თავშივე განწირული, აქედან არაფერი გამოვა“**, – აღნიშნა **ედიშერ გვენეტაძემ.**

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **თინა ბოკუჩავამ** განაცხადა, რომ „თუ პლატფორმა შედგება სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ, მზად ვიქნებით, მივიღოთ მონაწილეობა“. მისი თქმით, ყველაფერი უნდა გადადონ გვერდზე და მომავლისთვის გაერთიანდნენ.

**„ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილებები ძალიან არ უნდა გაიწელოს. რამდენი ხანია ამ მდგომარეობაში ვართ. ასი დღეა ადამიანები ქუჩაში არიან, ამდენი ხანია ადამიანები საპყრობილეებში არიან, შიმშილობენ, არიან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, რა უნდა მოხდეს მეტი ქვეყანაში, რომ პოლიტიკურმა ძალებმა გადაწყვეტილება მიიღონ აღნიშნულზე? თუ არ არის გაერთიანების რესურსი, ახლაც არასწორი და არაგულწრფელი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, „ნაციონალური მოძრაობა“ იბრძოლებს მომავალშიც ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ“**, – განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

აღნიშნულ საკითხს ასევე პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი, **გია ვოლსკი** გამოეხმაურა. მისი განმარტებით, „სალომე ზურაბიშვილი ხან „ქარტიას“ აქვეყნებს, ხან ევროპულ „ვოიაჟს“ ისე აჩვენებს, თითქოს მან გადაწყვიტა საქართველოს ბედი, მაგრამ ამას შედეგი არ აქვს“.

**„სალომე ზურაბიშვილი დაიტანჯა თავისი პიროვნების აქტუალობის წამოწევის მცდელობებით. 2022 წლიდან მოყოლებული, ყოველდღიურად ცდილობს, რომ როგორმე ოპოზიციას ჩაუდგეს სათავეში და სააკაშვილი ჩაანაცვლოს, როგორც ამ კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ ლიდერმა. მან პრაქტიკულად, ზურგი შეაქცია ადამიანებს, ვინც იგი აირჩია და დღეს არის იმ ადამიანებთან დაკავშირებული, რომლებმაც მას უკიდურესად მძიმე შეურაცხყოფა მიაყენეს. დღეს, ეს შეურაცხყოფები, რასაკვირველია, დღის წესრიგშია, თუმცა ხმამაღლა არ ისმის. ამ მცდელობებშია სალომე ზურაბიშვილი.**

**ხან „ქარტიას“ აქვეყნებს, ხან ევროპულ „ვოიაჟს“ ისე აჩვენებს, თითქოს, მან გადაწყვიტა საქართველოს ბედი, მაგრამ ამას შედეგი არ აქვს, იმიტომ რომ ყველამ კარგად იცის, რას წარმოადგენს, რა უნდა და რა მიზანს ემსახურება. ეს მიზანი უცვლელია, იგივეა, რაც გააჩნია ლევან ხაბეიშვილს, თინა ბოკუჩავას, ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს თუ თეონა აქუბარდიას. აქედან გამომდინარე, მისი ეს მცდელობები, რაღაც ფინტების ტარება პოლიტიკურ ველზე, არის უშედეგო. ახლა კიდევ ახალ ქარტიას გამოაქვეყნებს, მერე ვიღაცები დაიწყებენ მცდელობებს, რომ როგორმე ამ ქარტიაზე ხელი მოაწერინონ ადამიანებს, ვინც გუშინ სალომე ზურაბიშვილს დამამცირებელ სიტყვებს უწოდებდა. ეს ღლიცინი, ეს ფუთფუთი არის მუდმივად მახასიათებელი აი, ამ ყოფილი პრეზიდენტის“**, – განაცხადა **ვოლსკიმ.**

**ნიკო ჩოხელი**

# ბაჩიაშვილს მიწიდან ამოიღებენ, გაიჩალიჩა და თავის ოჯახსაც გაუჩალიჩა


გიორგი ბაჩიაშვილი


ბიძინა ივანიშვილი

**გიორგი ბაჩიაშვილმა სომხეთის საზღვარი რუსული პასპორტით გადაკვეთა. პასპორტის გაცემის თარიღი არის 2024 წელი, მაშინ, როდესაც ბაჩიაშვილი ხელისუფლებას პრორუსულობაში ადანაშაულებდა და ამ მოტივით აფინანსებდა ქუჩის აქციებს, თავად დაკავებული იყო იმით, რომ თავშესაფარი რუსეთის ტერიტორიაზე მიეღო და ამ მოტივით მიიღო რუსეთის პასპორტიც, მაგრამ შემდეგ გეგმა შეცვალა და, დიდი ალბათობით, ის თავს საფრანგეთს აფარებს. არსებობს ინფორმაცია, რომ სომხეთიდან ის გაემგზავრა ერევანში საფრანგეთის საელჩოში, სადაც მიიღო უსაფრთხოების ქოლგა, ანუ გარანტია. ბაჩიაშვილი ახლა იმალება და მას, როგორც ჩანს, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები უწევენ მფარველობას.**

**რაც შეეხება შოთა ქარუმაძეს, რომელიც ბაჩიაშვილის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში დაეხმარა, სანაცვლოდ 30 000 დოლარი გადაუხადა. წარსულში ნასამართლევ ქარუმიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. საქმის პროკურორის ანი ხახანაშვილის განმარტებით, დასადგენია დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირები.**

ბრალდებულის ადვოკატის ალექსანდრე ამირხანაშვილის თქმით, აუცილებლობას არ წარმოადგენდა უმკაცრესი აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენება, ვინაიდან ის ბრალდებასაც ეთანხმება. ამირხანაშვილის განმარტებით, ბრალდების მხარის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაში ლომის წვლილი სწორედ ბრალდებულმა შეიტანა. ადვოკატმა შოთა ქარუმიძის მიმართ 80 000-ლარიანი გირაოს გამოყენება იშუამდგომლა. სიტყვით ისარგებლა ბრალდებულმაც და აღნიშნა, რომ ის გამოძიებასთან თანამშრომლობს.

**„დედაჩემი არის ცუდად, ამასაც თუ გაითვალისწინებთ, კარგი იქნება. უჩემოდ უჭირს გადაადგილება. ვთანამშრომლობ და ვითანამშრომლებ... რომ არ მდომოდა თანამშრომლობა, დუმილის უფლებით ვისარგებლებდი. პირიქით, წავედი თანამშრომლობაზე. მიმალვის საშიშროება არ არის“**, – განაცხადა **შოთა ქარუმიძემ.**

ქარუმიძე პატიმრობაშია, გამოძიებასთან თანამშრომლობს და ახლა მან უნდა თქვას, ვინ იყო მასსა და ბაჩიაშვილს შორის შუამავალი, ვინ იყო კოორდინატორი და ვინ აგვარებდა ტექნიკურ საქმეებს. საქმეში ფიგურირებს ბაჩიაშვილის მამაც და არ არის გამორიცხული, რომ გამოძიებამ მას ბრალი წაუყენოს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ვნახეთ, ბაჩიაშვილს როგორი კრიმინალური ენერგია ჰქონია. მისი თქმით, ასე ცივსისხლიანად დაგეგმავდა იმ ადამიანის ღალატს და ზურგში დანის ჩარტყმას, რომელმაც კაცად აქცია და გზაზე დააყენა. შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ ბაჩიაშვილის საქმე ოპოზიციის არიფობის მხილებაა, რადგან ოპოზიციამ ჩაიხუტა ჩვეულებრივი კრიმინალი ადამიანი.

**„კაცური და მამაცური საზღვრის კვეთა რა არის?! გასაგებია, საზღვარს რომ კვეთს ადამიანი, ასე დამცირებულად აკეთებს... ლიტერატურაშიც ასეა აღწერილი, ჯერ კიდევ „ყვარყვარეს“ დროიდან ვიცით ეს ამბები, შემდეგ სააკაშვილმა გაიმეორა ეს ყველაფერი და ახლა ბაჩიაშვილი ვნახეთ. ეს ერთადერთი რამის მაგალითია, თუ რამხელა კრიმინალური ენერგია ჰქონია ამ ადამიანს. ამდენი ხანი გეგმავდა. ვინმეს ეჭვი ეპარება მის კრიმინალობაში სხვა საქმეებთან დაკავშირებით?! გაირკვა, რომ მანქანა აყიდინა, თავად გადააკეთა. ასეთი გეგმები რომ ჩამოაყალიბა, ამით საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცა ჩვენება სხვა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით, რომ კი, რა თქმა უნდა, იზამდა იმას, რასაც პროკურატურა ედავება.**

**კიდევ ერთი მხილებაა ჩვენი ოპოზიციის არიფობის. იცით, რომ გმირად გამოაცხადეს ადამიანი, რომელიც აღმოჩნდა, რომ რუსეთის მოქალაქეა. თავად რომ ჰკითხოთ, გაკარება არ უნდათ, რაც „რ“ ზე იწყება არაფერი მოსწონთ, აღიზიანებთ და რუსეთის მოქალაქე აღმოჩნდა გიორგი ბაჩიაშვილი. ოპოზიციას რომ აფინანსებდა და ამით ამაყობდა, იმ დროს გეგმავდა კრიმინალს. სალომე ზურაბიშვილი მას გადაეხვია აქციაზე, თუ ასე შემდეგ, ოპოზიციამ ჩაიხუტა ჩვეულებრივი კრიმინალი ადამიანი. „ბაჩიაშვილები“ და „კეზერაშვილები“ ყველა საზოგადოებაში იქნებიან, კარგია, რომ ჩვენი უსაფრთხოების სამსახურები ძალიან აქტიურად მუშაობენ და ბევრი დეტალი გავიგეთ“**, – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**


შოთა ქარუმიძე


სამალავი

**შალვა პაპუაშვილი: ვნახეთ, ბაჩიაშვილს როგორი კრიმინალური ენერგია ჰქონია. ...ასე ცივსისხლიანად დაგეგმავდა იმ ადამიანის ღალატსაც და ზურგში დანის ჩარტყმასაც, რომელმაც კაცად აქცია და გზაზე დააყენა.**

ახლა მთავარი და მნიშვნელოვანია ვინ მიწვდება პირველი ბაჩიაშვილს – მართლმსაჯულების ხელი, თუ ქურდული სამყარო. ექსპერტების ნაწილი თვლიან, რომ ბაჩიაშვილი კონკრეტული ქვეყნის სპეცსამსახურებმა გაიყვანეს ქვეყნიდან, ისევე როგორც შექნეს თავის დროზე და გახადეს ივანიშვილის გუნდის გავლენიანი წევრი.

პოლიტოლოგ **ირაკლი გოგავას** განცხადებით, თუ ვინმე არის ბიძინა ივანიშვილის გარშემო, აბსოლუტურად ყველასთან მიდის რამდენიმე სპეცსამსახური და ცდილობენ, რომ გადაიბირონ. მინიმუმ, ინფორმატორობა დაავალონ, მაქსიმუმ კიდევ სხვა დავალებებიც მისცენ.

**„ვინც კი არის საქართველოს მთავრობაში, ივანიშვილის გარემოცვაში, მის ბიზნეს-სტრუქტურებში, ყველასთან მიდიან და ცდილობენ, რომ გადაიბირონ. ეუბნებიან ასეთ რამეს – „შენ ივანიშვილთან ხარ, „ქართუ ბანკში“ მუშაობ თუ „თანაინვესტირების ფონდში“ 2-3 წელი იმუშავებ და მერე რას აკეთებ? ჩვენთან თუ იქნები, მოგხედავთ მთელი ცხოვრება და პლუს, მოგცემთ უსაფრთხოების გარანტიებს. ასეთი შეთავაზებას აკეთებენ სხვადასხვა სპეცსამსახურები. არ გამოვრიცხავ, რომ ბაჩიაშვილიც ასეთი პერსონაჟი იყო, რომელსაც ფარულად დაელაპარაკნენ.**

**ჩემთვის მთავარი არის ზნეობა და მორალი. მერე არის კანონი. მე, როგორც მითხრეს, ეს ადამიანი იყო ავტოდილერი. გერმანიიდან ჩამოჰყავდა მანქანები. მერე აღმოჩნდა ბიძინას კართან, როგორც ხდება საქართველოში, მივიდნენ ივანიშვილთან და სთხოვეს მის შესახებ და დაასაქმეს. როგორც ჩანს, თვითონაც სხარტი გონება აქვს“**, – აცხადებს **გოგავა.**

გადაიბირეს თუ არა სპეცსამსახურებმა, არ იცის, ვერ დაადასტურებს, მაგრამ, დიდი ალბათობით, თვლის, რომ გადაიბირეს, რადგან მოქმედების ალგორითმი ამას ადასტურებს.

**„რიგითი ავტოდილერი ხარ, ადამიანმა თავის ყველაზე დიდ კომერციული სტრუქტურის უფროსად დაგნიშნა. მილიარდიან პროექტებს ხელმძღვანელობ, მაღალი ხელფასი გაქვს, ავტორიტეტი გაქვს საზოგადოებაში ბიძინას გამო, გაქვს დიდი მომავალი, რომ ქვეყნისთვის კარგი საქმე აკეთო და მართლა კარგი რამე გააკეთეს თანაინვესტირების ფონდიდან, მაგრამ გამოიჩინა აბსოლუტური უმადურობა, მოუტეხა ფული. პირდაპირი გეგმა ჰქონდა, რომ გადაეგდო. გაიპარა ამ თავისი 8 ათასი ბიტკოინით და ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რაც დაუშვა...**

**ახლა მთელი კრიმინალური სამყარო დაწყებული იაკუძადან, დამთავრებული რუსული მაფიით და ქუთაისელი ქურდებით, გადასულია ყველა მაგის ძებნაზე. კაცი დარბის და 700 მილიონი აქვს ჯიბეში, რომელიც გაქცეულია ქვეყნიდან. ახლა მოუწევს ამ კრიმინალებს დაემალოს, მაგრამ სად დაემალება? კრიმინალი ეს არაა საქართველოს პოლიცია და სასამართლო, სულ სხვა სისტემაა. მიწიდან ამოიღებენ. გაიჩალიჩა და თავის ოჯახსაც გაუჩაილიჩა“**, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **ირაკლი გოგავა.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

## ორ არასრულწლოვანზე მოძალადეს 17 წელი მიესაჯა!

**დაზარალებული არასრულწლოვნები კახეთის რეგიონის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ. ფაქტის შესახებ, მაშინ გახმაურდა, როცა 15 წლის გოგონას შვილი შეეძინა. გაუპატიურების ფაქტის შესახებ, არასრულწლოვანის და ალაპარაკდა, რომელიც ყვებოდა, რომ ორივე მათგანზე დედის მეგობარი მამაკაცი ძალადობდა.**

გამოძიება მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 140- ე მუხლებით დაიწყო, რაც გაუპატიურებასა და წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან სქესობრივ კავშირს გულისხმობს. დახურული სასამართლო პროცესი თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალი დადასტურებულად მიიჩნია და შუა ხნის მამაკაცს, 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**რა დევს საქმეში და რას ამბობს ექსპერტიზა?**

გამოძიების დაწყების პროცესში, საკუთარ ჩვენებაში 15 წლის მოზარდი შუა ხნის მამაკაცთან სქესობრივ კავშირს ადასტურებდა, თუმცა თვლიდა, რომ ბავშვი ყოფილი „ქმრისგან“ შეეძინა. მამაკაცი, რომელსაც არასრულწლოვანი ქმრად მიიჩნევდა, საქმის მიმდინარეობის მომენტში ძალადობისათვის იხდიდა სასჯელს.

იხ. 15 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა



## ჰარვარდის მეცნიერი ხსნის ფორმულას, რომელიც ღმერთის არსებობას ამტკიცებს...

**ჰარვარდის მეცნიერი, ასტროფიზიკოსი და აეროკოსმოსური სფეროს ინჟინერი ვილი სუნი აცხადებს, რომ მათემატიკური ფორმულა სინამდვილეში ღმერთის არსებობას ამტკიცებს,** – წერს DailyMail-ი.

მისი თქმით, ფიზიკური კანონები და სამყაროს პირობები იდეალურად უხდება სიცოცხლის არსებობას და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ანტიმატერია და მატერია ერთდროულად დიდი აფეთქების შემდეგ წარმოიშვა, თუმცა სამყაროში ნაკლები ანტიმატერიაა.

ვილი სუნმა ასევე აღნიშნა, რომ არსებული ასიმეტრია მატერიასა და ანტიმატერიას შორის სამყაროში მიუთითებს იმაზე, რომ არსებობდა ჩანაფიქრი. მან აღნიშნა, რომ ფიზიკასა და მათემატიკაში არსებობს ისეთი მომენტები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ რეალურ სამყაროსთან, მაგრამ ისინი მაინც სწორია ისევე, როგორც კემბრიჯის პროფესორის პოლ დირაკის თეორია, რომელმაც ფიზიკის ცნობილი კანონები დაარღვია. დირაკს აინტერესებდა გაეგო, რატომ შეეძლოთ ნაწილაკებს სინათლის სიჩქარეზე უფრო სწრაფად მოძრაობა.

ატმოსფეროს ფენებში განლაგებულ კოსმოსურ სხივებზე დაკვირვების შემდეგ მეცნიერებმა ანტიმატერიის პირველი ნაწილაკები აღმოაჩინეს, რითაც დირაკის ჰიპოთეზა დამტკიცდა. მისმა აღმოჩენამ ფიზიკაში ახალი კარი გააღო, რომელიც ველის კვანტური თეორიით არის ცნობილი. 1963 წელს დირაკმა სამეცნიერო ჟურნალებში ღმერთი აღწერა, როგორც უმაღლესი დონის მათემატიკოსი.

**„შესაძლოა, სიტუაციის აღწერა შეიძლება ასე, რომ ღმერთი არის უმაღლესი დონის მათემატიკოსი და მან სამყაროს აგებისთვის მოწინავე მათემატიკა გამოიყენა“,** – წერდა **დირაკი.**

მეცნიერებმა დაამტკიცა, რომ გრავიტაცია შედარებით სუსტი რომ ყოფილიყო, სამყაროში ვარსკვლავები და პლანეტები ვერ შეიქმნებოდა, ან პირიქით, გრავიტაცია შედარებით ძლიერი რომ ყოფილიყო, სამყარო შავ ხვრელში შეიკუმშებოდა. ასევე, პროტონისა და ელექტრონის თანაფარდობა სხვაგვარი რომ ყოფილიყო და არა ისეთი, როგორიც არის, ვერც ფუნდამენტური ქიმია, ვერც დნმ იარსებებდნენ. ეს ყველაფერი კი, მეცნიერების აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ სამყაროს შექმნის ჩანაფიქრი არსებობდა.

## მზვერავის მტკიცებით პლანეტა მარსზე სიცოცხლე არსებობდა

**აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტის ჯო მაკმონიგლის განცხადებით, მარსზე სიცოცხლე არსებობდა და მას ამასთან დაკავშირებით „მტკიცებულებები“ აქვს,** – წერს DailyMail-ი.

გამოცემა იუწყება, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა აგენტმა სიჩუმე დაარღვია „დისტანციური დამკვირვებლის“ ექსპერიმენტთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ოდესღაც მარსზე სიცოცხლე არსებობდა.



მისი თქმით, 1980-იან წლებში ტარდებოდა ექსპერიმენტები ჯო მაკმონიგლის და სხვა ადამიანების მონაწილეობით, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ შეეძლოთ ინფორმაციის აღქმა სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი გონების მეშვეობით.

მაკმონიგლი, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს „№ 1 დისტანციური დამკვირვებელია“ American Alchemy-ის პოდკასტში გამოვიდა და თავისი ექსპერიმენტის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარადგინა.

**„მე მივიღე ადამიანების გამოსახულება, რომლებიც ხაფანგში მოხვდნენ ისეთ გარემოში, სადაც ატმოსფერო სულ უფრო უარესდებოდა. ცხადი იყო, რომ ეს ადამიანები რაღაცისგან კვდებოდნენ. ისინი ადამიანები იყვნენ, უბრალოდ ორჯერ უფრო დიდები, ვიდრე ჩვენ“,** – განაცხადა მან და აღნიშნა, რომ მარსზე სიცოცხლე ჩვენს წელთ აღრიცხვამდე მილიონ წელს არსებობდა.

მაკმონიგლის თეორიის თანახმად, „მსხვილმა ობიექტმა მზის სისტემაში ჩაიარა და მარსის ატმოსფერო გაანადგურა, რამაც წითელ პლანეტაზე სიცოცხლე მოსპო“.



## ჰუმანოიდ რობოტებზე მოთხოვნილება იზრდება!



**ჰუმანოიდ რობოტებზე მოთხოვნილება საერთაშორისო ბაზარზე სულ უფრო იზრდება. ბარსელონაში მსოფლიო მობილურობის ყოველ წლიური კონგრესი გაიმართა, რომელზეც სხვადასხვა კომპანიების მიერ წარმოებული ათობით მოდელია წარმოდგენილი.**

მედიის ყურადღება მიიპყრო ჩინური კომპანიის მიერ წარმოებულმა რობოტმა, რომელიც უნიკალური ფუნქციებით არის აღჭურვილი. მისი ღირებულება ბაზარზე 16 ათას დოლარამდე მერყეობს.

## წაართმევენ თუ არა სამსახურს რობოტები ადამიანებს?!



**მობილური ტექნოლოგიების მსოფლიო კონგრესზე (MWC), რომელიც ბარსელონაში ჩატარდა მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ ადამიანის მსგავს რობოტს ამეკას ჰკითხეს წაართმევენ თუ არა სამსახურს რობოტები ადამიანებს, რაზეც მან უპასუხა, რომ არ იცის ადამიანები რამდენად კარგად ართმევენ თავს სამსახურს და ეს სწორედ ამაზეა დამოკიდებული,** – წერს DailyMail-ი.

შემდეგ კითხვაზე შეძლებენ თუ არა რობოტები მსოფლიოს დაპყრობას, ამეკამ უპასუხა, რომ ეს საინტერესო კითხვაა, თუმცა მისთვის ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საინტერესო არ არის. ერთ-ერთი ბოლო კვლევის თანახმად, რისკის ქვეშ ისეთი პროფესიებია, როგორც ხმის რეჟისორი, მედიცინის სხვადასხვა მიმართულებების სპეციალისტები, ბუღალტერი, პროგრამისტი, ფარმაცევტი, ჟურნალისტი, დისპეტჩერი და სხვა. ტექნოლოგების აზრით, მომავალში რობოტები ადამიანებზე უკეთ გაართმევენ თავს სხვადასხვა სახის სამუშაოს.

## არქტიკის საიდუმლო საცავში, სადაც 1,3 მილიონ ტონაზე მეტი მარცვლეული ინახება, 14 ათასზე მეტი ნიმუში დაამატეს!!!

**შპიცბერგენის არქიპელაგზე სპეციალური საცავი მდებარეობს, სადაც 1,3 მილიონზე მეტი მარცვლეული ინახება, რომელმაც ოდესღაც დედამიწა შესაძლოა განადგურებისგან გადაარჩინოს,** – DailyMail-ი.

მარცვლეული -18°C-ზე ინახება. ცივი ამინდი და სქელი კლდე იმის გარანტიას იძლევიან, რომ ნიმუშები იმ შემთხვევაშიც კი არ გაფუჭდება, თუ ელექტროენერგია გაითიშება. ცოტა ხნის წინ, საცავს 14 000-ზე მეტი ახალი ნიმუში შეემატა. საცავი 2008 წელს შეიქმნა. ის კლდეშია გაშენებული და მისი სიღრმე ას მეტრს აღემატება. სპეციალისტებმა ეს ადგილი შემთხვევით არ შეარჩიეს. ის გამოირჩევა გეოლოგიური მდგრადობით და დაბალი ტენიანობით. მათი თქმით, საცავი დაცულია იმისგან, რომ მას ოკეანე შთანთქავს. საცავში 2,5 მილიარდი ტონა მარცვლეულის შენახვაა შესაძლებელი, რაც უსაფრთხო სამრეწველო მომავლის გარანტია, აღნიშნავენ მეცნიერები.

## შექმნეს თაგვები მამონტის ბეწვით!



**ამერიკელმა მეცნიერებმა გენეტიკურად მოდიფიცირებული თაგვები შექმნეს, რომლებსაც მამონტების ბეწვი აქვთ, – წერს The Guardian-ი.**

ბიოტექნიკური კომპანიის Colossal Biosciences-ის სპეციალისტებმა 38 ჯანმრთელი ბეწვიანი თაგვი შექმნეს. მათ თაგვების გენის რედაქტირება მოახდინეს, რომელიც მღრღნელების ბეწვის სიგრძეს, სიხშირეს, ფერსა და ტექსტურას განსაზღვრავს. ამისთვის მათ დნმ-ის ტექნოლოგია გამოიყენეს.

მეცნიერების თქმით, ახალი კვლევა აძლევს მათ საშუალებას დაამტკიცონ, რომ რთული გენეტიკური კომბინაციების აღდგენა შესაძლებელია, მაშინ როდესაც ბუნებას ამისთვის მილიონობით წელი დასჭირდა.

Colossal Biosciences-ის სპეციალისტების მიზანი მამონტების დაბრუნებას ემსახურება. ამისთვის ისინი აზიური სპილოს გენის რედაქტირებას აპირებენ. ისინი იმედოვნებენ, რომ პირველ მამონტის მსგავს ნაშიერს უკვე 2028 წელს მიიღებენ.

კვლევისთვის 435 მილიონი დოლარია გამოყოფილი. მამონტის დნმ სპეციალისტებმა მუდმივ ყინულში აღმოაჩინეს. მეცნიერები აპირებენ, რომ სპილო მამონტის სუროგატ დედად გამოიყენონ. ჯერჯერობით მათთვის უცნობია შეძლებს თუ არა მამონტის დნმ-ით დაბადებული ნაშიერი თანამედროვე კლიმატურ პირობებში სიცოცხლეს.

## ბუნებრივი ანტიბიოტიკების ნამდვილი საბადო

**მეცნიერებმა იმუნური სისტემის ახალი ნაწილი აღმოაჩინეს. მათი თქმით, ის ბუნებრივი ანტიბიოტიკების ნამდვილი საბადოა,** – წერს BBC-ი.

მეცნიერებმა განმარტეს, რომ ორგანიზმის ნაწილს, რომელიც ცილების გადამუშავებაზეა პასუხისმგებელი, საიდუმლო რეჟიმი გააჩნია. მას ქიმიკატების მთელი არსენალის გამოსროლა და ბაქტერიების განადგურება შეუძლია. ებრაელი მეცნიერების აზრით, ეს მიგნება ცვლის აქამდე არსებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ არის დაცული ორგანიზმი ინფექციებისგან და ბუნებრივი ანტიბიოტიკების აღმოჩენის ახალ გზებს იძლევა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც მსოფლიოში ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა მატულობს.

კვლევა ფოკუსირდება პროტეაზომებზე – პაწაწინა სტრუქტურაზე, რომელიც ორგანიზმის ყოველ უჯრედშია. მისი მთავარი დანიშნულება ძველი ცილების პატარა ნაწილებად გახლეჩაა, რათა მოხდეს მათი გადამუშავება ახალი ცილების შესაქმნელად. კვლევამ აჩვენა, რომ პროტეაზომებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რომ უჯრედი დაინფიცირებულია. ის თავის სტრუქტურასა და როლს ცვლის. ძველ ცილებს იარაღად გარდაქმნის, რომელსაც ბაქტერიის გარე ფენის გარღვევა და მისი განადგურება შეუძლია. ექიმების თქმით, ყოველ წელს მსოფლიოში მილიონ ადამიანზე მეტი იღუპება იმ ინფექციებისგან, რომლებსაც ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადობა აქვთ, ამიტომ ეს აღმოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი თაობის ანტიბიოტიკების აღმოსაჩენად.

## შვილს სოლიდური მემკვიდრეობა დაუტოვა




**მსოფლიოს უხუცესმა პაცმა, რომელიც შარშან გარდაიცვალა 112 წლის ასაკში, ანდერძით ოჯახს 300 000 ფუნტი დაუტოვა.**

ჯონ ალფრედ ტინისვუდი, ორივე მსოფლიო ომში გადარჩენილი, დაიბადა ლივერპულში 1912 წლის 26 აგვისტოს, ტიტანიკის ჩაძირვიდან სულ რაღაც ოთხი თვის შემდეგ. თავის ანდერძში, რომელიც გამოქვეყნდა ამ კვირაში, მან ოჯახს დაუტოვა 305,323 ფუნტი, რომლის უმეტესი ნაწილი უანდერძა თავის ქალიშვილს, სუზანს, რომელიც ოთხმოცი წლისაა. 100 წლის მოხუცმა თავის ოთხ შვილიშვილს და სამ შვილთაშვილს, თითოეულს 5000 ფუნტი დაუტოვა.

მან ასევე შესწირა 1000 ფუნტი ლივერპულის Blundellsands United Reformed Church-ს, სადაც ის უფროსი იყო და 1000 ფუნტი კიბოს კვლევისთვის. მისტერ ტინისვუდი ყოველ წელს იღებდა დაბადების დღის მისალოც ბარათს გარდაცვლილი დედოფალი ელიზაბეტისგან მას შემდეგ, რაც 2012 წელს ის 100 წლის გახდა. როდესაც ჰკითხეს მისი ხანგრძლივი ცხოვრების საიდუმლოს შესახებ, მან უპასუხა, რომ „არაფრით განსხვავდებოდა“ სხვებისგან. არასოდეს ეწეოდა, იშვიათად სვამდა და არ იცავდა რაიმე სპეციალურ დიეტას.

**„თუ ძალიან ბევრს სვამთ, ბევრს ჭამთ, ან ძალიან ბევრს ივლით – თუ ბევრ რამეს აკეთებთ – საბოლოოდ დაზარალდებით“,** – თქვა ბატონმა ტინისვუდმა.



# მართლმადიდებლური ეკლესიის საბიუჯეტო დისკრიმინაცია საქართველოში

## ...არა მხოლოდ პირჯვრის გარდასახვით!..



*რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ყველა სახელმწიფოში საკუთარი კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის თუ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება. ჩვენში ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის სიმძაფრეს ის გარემოება განაპირობებს, რომ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მოყოლებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სრულიად ზნედაკარგულ ლიბერასტთა გამუდმებული შეტევის ობიექტია.*

*არადა, მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხალხის უდიდეს ნაწილს ჩვენში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არა აქვს. ამასობაში პრობლემა იმდენად ვრცელი და საგულისხმოა, რომ ჩვენი აზრით, გულდასმით განხილვას საჭიროებს. აქვე აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ თემის საგანგებოდ გახსნის მძლავრი ბიძგი გახდა სოციალური ქსელის იუთუბის „ქართულ პლატფორმაზე", ცოტა ხნის წინათ დადებული პოდკასტი ცნობილი ქართველი სწავლულების – ეკონომისტის, აკადემიკოს მიხეილ ჯიბუტისა და იურისტის, პროფესორ მარიამ ცაცანაშვილის მონაწილეობით.*

*ამ პრობლემასთან დაკავშირებით დღეს ვესაუბრებით აკადემიკოს მიხეილ ჯიბუტს.*

**– ბატონო მიხეილ, რამ განაპირობა ჩვენში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დამოკიდებულებით თქვენი დაინტერესება?**

– ზოგადად თუ ვიტყვით, არსებობს ფუნდამენტური მნიშვნელობის მოვლენები, რომელთა მომსწრენი ვხდებით, თუმცა კი რაღაც ძნელად ასახსნელი მანქანებით, ბევრი რამ მეხსიერებიდან ამოვარდნილი, გვარიანად მივიწყებული ხდება ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, უდავოდ საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა გახლდათ. ამ მიზნით, თავდაპირველად ჯერ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ აღიარა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში (მუხლი 8), შვიდი წლის შემდეგ კი ურთიერთობა მოწესრიგდა „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის" საკონსტიტუციო შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოეწერა 2002 წლის 14 ოქტომბერს, ხოლო პარლამენტის მიერ დამტკიცდა იმავე წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით.

წეღან თქვენ ჩემი და პროფესორ მარიამ ცაცანაშვილის ამ თემისადმი მიძღვნილი პოდკასტი ახსენეთ, რასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ სწორედ იგი და აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი ის ორი სწავლული იურისტი იყო, რომლებიც სრულად იყვნენ ჩართულნი ამ ხელშეკრულების კონცეფციის მომზადების, ტექსტის შექმნის, განხილვის, შეთანხმებისა და მიღების ყველა სტადიაზე, თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ ქალბატონ მარიამის როლი მაინც განსაკუთრებულია. ამ საკითხთან დაკავშირებით, პროფესორი მ. ცაცანაშვილი საქართველოში თუ ქვეყნის გარეთ ყველა ოფიციალური თუ კულუარული შეხვედრისა და მოლაპარაკების მონაწილე იყო, რომელიც უდიდესი ნდობითა და პირადული კეთილდამოკიდებულებით სარგებლობდა როგორც საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის, ასევე სრულიად საქართველოს პატრიარქ ილია II-ის მხრიდან.

ჩემი და ქალბატონ მარიამის ერთობლივი პოდკასტის მთავარი მიზანიც, პირადად ჩემთვის, ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის უშუალო შემქმნელის წარმოჩენა იყო, მით უმეტეს, რომ საქართველოში ძალიან ცოტაა მარიამ ცაცანაშვილის ტოლფასი ტიტულოვანი ქალბატონები. ისაა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იუსტიციის გენერალური, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი.

იმასაც ვიტყვი, რომ საკითხის აქტუალიზებას ხელი შეუწყო აგრეთვე ეკლესიის ირგვლივ შექმნილმა პოლიტიკურმა კონტექსტმა.

**– მაინც რა შინაარსისაა კონკრეტულად აღნიშნული ხელშეკრულება, რა მოთხოვნებია შეტანილი დოკუმენტში?**

– პროფესორ ცაცანაშვილთან უკვე ნახსენებ ერთობლივ პოდკასტში, ყურადღება გავამახვილეთ იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის" საკონსტიტუციო შეთანხმება არის ქართული სამართლებრივი სისტემის ინოვაციური შედეგი.

მართალია, არ არსებობს სახელმწიფოსა და რელიგიის დამოკიდებულების პოლიტიკური პრინციპების რაიმე საერთო სტანდარტი, მაგრამ მაინც ხაზგასმითთ უნდა აღინიშნოს, რომ

**ეს საკონსტიტუციო შეთანხმება უბრალოდ ქართული სპეციფიკით კი არ იმეორებს რომელიმე ქვეყნის სამართლის ნორმებს, არამედ სრულიად ახლებური მიდგომაა. ამიტომაც გამარტივებით მისი „კონკორდატად" მოხსენიება არასწორია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „კონკორდატის" ქვეშ მის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას – „ხელშეკრულებას" ვგულისხმობთ. ასეთ შემთხვევაშიც უნდა ითქვას „საკონსტიტუციო კონკორდატი", რაც თავისთავად აშორებულია გამარტივების მიზანს.**

**საკონსტიტუციო ხელშეკრულებაში განსაზღვრულია საკითხები, რომლებიც იყო, არის, ან შეიძლება წარმოიშვას გამოწვევების სახით და მოცემულია მათი გადაჭრის მექანიზმები. რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ ეს არაა ხისტი გამიჯვნა, მათი ურთიერთობა კომპლექსურია და დინამიური ხასიათის უნდა იყოს.**

საკონსტიტუციო ხელშეკრულებით განსაზღვრულია სასულიერო პირებისა და ეკლესიის შეღავათები (სასულიერო პირები,თავისუფალნი, არიან სამხედრო ვალდებულებისაგან, ეკლესიის საღვთისმსახურო პროდუქციის წარმოება, მიწა, არაეკონომიკური მიზნით ქონება გათავისუფლებულია გადასახადებისაგან), საჯარო ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება (სახელმწიფოს მიერ ეკლესიასთან შეთანხმებით სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნა, ნებაყოფლობითი წესით საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება, სასწავლო პროგრამებისა და პედაგოგების ეკლესიის მიერ წარდგინების პირობით, ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარება, ეკლესიის სტატუსი და ავტონომიურობა (რომ ის წარმოადგენს „ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს", რომელიც საქართველოს კანონმდებლობის გარდა თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით), ეკლესიის საკუთრებითი ურთიერთობები, ეკლესიისათვის მატერიალური ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება, სახელმწიფოსთან ერთად სხვადასხვა, მათ შორის სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება, ეკლესიის დაფინანსების წყაროები და სხვ.

**– ჩვენი მკითხველისთვის უდავოდ საინტერესო იქნება აღნიშნული ხელშეკრულების დეტალური განხილვა, მაგრამ გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, გთხოვთ შემოისაზღვროთ დიდი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საპატრიარქოს საბიუჯეტო დაფინანსების საკითხით.**

– საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს საპატრიარქოს კოდით ასიგნებები 2002 წლიდან ხორციელდება, ამასთან, რუსეთ-საქართველოს ომამდე, 2002-2007 წლებში მისი ოდენობა სულ 13 771, 6 ათასი, ანუ საშუალოდ წელიწადში 2 295,0 ათასი ლარი იყო. ომის შემდგომ კი ეკლესიის ბიუჯეტიდან დაფინანსება მკვეთრად გაიზარდა. 2008-2012 წლებში მან 112 200,0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ საშუალოდ 22 440,0 ათასი ლარი წელიწადში. 2013 წლიდან ყოველწლიური ხარჯი შეადგენს 25 000,0 ათას, ანუ 25 მილიონ ლარს. არის კიდევ მსგავსი ხარჯი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, ასევე სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან.

**ყოველივე ეს არის ეკლესიისადმი ოპოზიციურად, ან არაკეთილგანწყობილი ადამიანებისა და ორგანიზაციების მუდმივი უარყოფითი პროპაგანდის საგანი. საპატრიარქოსათვის მიცემული ეს 25 მილიონი ლარი შეიძლება ყველაზე ცნობილი ხარჯი იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამ საკითხთან დაკავშირებით შეგნებულად, პროპაგანდის მიზნით, „სასარგებლო იდიოტების" მხრივ უამრავი ნეგატიური მასალაა ღია წყაროებში გამოქვეყნებული.**

**ამასთან, სამწუხაროდ, მე ვერ მოვიპოვე ვერც ერთი მასალა საპატრიარქოს დასაცავად(?!).**

**ეს გამაოგნებელია! პირდაპირ ვაცხადებ: მე ქვას ვისვრი ,როგორც ფინანსური ხელისუფლების, ისე აკადემიური და სასულიერო წრეების გოსტანში. დიდი ხანია საპატრიარქოს მიმართ განხორციელებულ ამ უსამართლო შეტევასა და კიდევ უფრო უსამართლო გულგრილობასა და დუმილზე ვლაპარაკობ და ახლაც გავიმეორებ: აღნიშნული სუბსიდიების კანონიერება არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ!**

სახელმწიფოს ბიუჯეტის, პარლამენტში დამტკიცების შემდეგ, ყველანაირი ხარჯის გაწევის უფლება აქვს! არ არსებობს ამ მიმართულებით რაიმე სტანდარტი. პრობლემური ხდება ხარჯის მიზანშეწონილობის საკითხი.

თავდაპირველად დავიწყოთ იმის გაშიფვრით, თუ რისგან შედგება აღნიშნული 25 მილიონი ლარის შემცველი მუხლი – მონაცემებს ვიღებ 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონიდან. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს საპატრიარქოსათვის ასიგნების ოდენობა 2025 წლისათვის შეადგენს 25,000.0 ათას ლარს. რისგან შედგება ეს ხარჯი?

**ეს 25 მილიონი გადანაწილებულია: რვა საგანმანათლებლო სუბსიდია** (სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი; ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი; ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი; ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი). **პროგრამა 22 924 ათასი ლარის, ოთხი სოციალური სუბსიდია** (საქართველოს საპატრიარქოს ქ. ნინოწმინდის წმიდა ნინოს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი; ბათუმის წმიდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გა-

დასაცემი გრანტი; წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი; სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის მხარდაჭერა).

**პროგრამა 1 276 ათასი ლარისა და საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების დონისძიებებისათვის 800 ათასი ლარის ოდენობით.**

როგორც ვხედავთ, ყველა სუბსიდია, გარდა ტელევიზიისა, მოდის განათლებასა და სოციალურ სფეროზე. ეს ის ხარჯია, რომელიც სახელმწიფოს, ტელევიზიის გამონაკლისის გარდა, მაინც უნდა გაეწია. ამასთან, ეს ხარჯი არის, არა ეკლესიის საქმიანობაზე, არამედ იმ სფეროებზე, რომელთა სახელმწიფოსაგან პატრონაჟის შესახებ პირდაპირაა მითითებული საკონსტიტუციო ხელშეკრულებაში: ესაა სოციალური დაცვისა და განათლების პროგრამები. საკონსტიტუციო ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ „სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას“ (მუხლი 5. პუნქტი 3).

**რატომ გახდა ამ საკითხის ფართო მასებამდე დაყვანა რთული? იმიტომ, რომ საბიუჯეტო პროცესში არასწორადაა კლასიფიცირებული ხარჯი, არასწორადაა შედგენილი ბიუჯეტის პროგრამები. ესაა ქართული „დიპ სთეითის“ ნამოქმედარი – საბიუჯეტო ტექნოლოგიის ეკლესიისათვის წამგებიან როლში წარმოსაჩენად გამოყენება.**

არსებობს საბიუჯეტო კლასიფიკატორი, რომლის მიხედვითაც სოციალური ხარჯი სოციალურში, განათლების – განათლებაში, ხოლო რელიგიური და სხვა სახის მომსახურება ცალკე აისახოს. ასეთ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს სუბსიდირება, რომელიც არ გამომდინარეობს საკონსტიტუციო ხელშეკრულებიდან, იქნებოდა 800 ათასი ლარი. გარდა პროპაგანდისტული მიზნებისა, არის კიდევ ერთი სავარაუდო მიზეზი ხარჯის არასწორად წარმოჩენისათვის. ესაა ამ ხარჯის როგორც ეკლესიისათვის მიყენებული ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციად კლასიფიკაცირება.

**– ბატონო მიხეილ, თუ შეიძლება, ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით რომ ვისაუბროთ?**

– საკონსტიტუციო შეთანხმება ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული „XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში) სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის“ ნაწილობრივ ანაზღაურებას და ზარალის განსაზღვრისათვის კომისიის შექმნას (მუხლი 11. პუნქტი 1).

**საკონსტიტუციო ხელშეკრულების მიღების დღიდან უკვე მესამე კომისიაა შექმნილი, მაგრამ მათ ამ მიმართულებით რაიმე ქმედითი საქმიანობა არ უწარმოებიათ(?!).**

ეს კი, თავის მხრივ იწვევს ქართული მართმადიდებლური ეკლესიის არა მარტო იმიჯის, არამედ კანონიერი უფლებების შებღალვას. კარგი გამოსავალია, თუ განათლებისა და სოციალური დაცვის ხარჯს კომპესაციად წარმოვადგენთ. კონსტიტუციური ხელშეკრულების დადებიდან გავიდა 13 წელი და მისი არც ერთი საკითხი არაა გადაჭრილი, არაა ჩამოყალიბებული ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სტაბილური და გამჭვირვალე ურთიერთობების მექანიზმები. საერთოდაც, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ხელისუფლებასთან მიმართებაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროს არც ერთხელ არ გაუმართლა.

**– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ „ქართულ ეკლესიას არ გაუმართლა?“ რა პრეტენზიები შეიძლება იყოს დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებებთან?**

– ეს ხელისუფლებაში მმართველი პარტიის იდეოლოგიითაა განსაზღვრული. არაფერს ვიტყვი 1918-1921 წლების რუსეთის სოციალ – დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დროს არსებულ სირთულეებზე, არც ათეისტური საბჭოთა კავშირის პერიოდი იყო საუკეთესო. თუმცა, ეკლესიისათვის ჩამორთმეული ქონების ნაწილობრივი კომპენსაციის ვალდებულება თავიანთი მმართველობის მიწურულში კომუნისტებმა მიიღეს (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183; 12.04.90). შეზღუდული იყო საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობისა და საბჭოთა კონტექსტში „მრგვალი მაგიდის“ შესაძლებლობები.

შემდგომში გაბატონებული იყო ლიბერალური დემოკრატია, რომელსაც რელიგიასთან არ აქვს მეგობრული ურთიერთობა, ხოლო ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნისას ის ხშირად ხორციელდებოდა რადიკალური – ლიბერტანიალიზმის ფორმით. „ქართული ოცნება“ თავიდანვე პოზიციონირებს, როგორც სოციალისტური პარტია (ბოლო დროს ხშირად გამოდის კონსერვატორიზმის პოზიციებიდან, თუმცა დოკუმენტურად ცენტრისტულ-სოციალისტური, რეალურად კი – ეკლექტური პარტიაა).

„ქართული ოცნების“ სოციალისტურმა ბუნებამ ხელი შეუწყო მას 2014 წელს შეექმნა სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელმაც იმავე წლიდან დაიწყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების განაწილება საქართველოში არსებულ არამართმადიდებლურ – ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხურ სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიურ გაერთიანებებზე „საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების“ მიზნით.

**სახელმწიფოს ეს ვალდებულება ეწინააღმდეგება ყველა იმ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელსაც ეფუძნება საქართველოს სახელმწიფო. მათ შორის უმნიშვნელოვანესია, რომ საბჭოთა კავშირს ჰყავს ერთი სამართალმემკვიდრე – რუსეთის ფედერაციის სახით, ეგრეთ წოდებული „ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულების თანახმად. საქართველოს დღევანდელ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰქონდეს ვალდებულებები საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მიყენებულ ზიანზე.**

**მას შეუძლია სუბსიდია მისცეს ნებისმიერ რელიგიურ კონფესიას მიზანშეწონილობის მიხედვით, მათ შორის რელიგიური სუბიექტებისა და ღონისძიებებისათვის. აუდიტორული შემოწმების პირობით, მაგრამ არა როგორც რეჟიმის დანაშაულებებზე პასუხისმგებლობის აღიარებით.**

თემას შემდეგ აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ მიზნით გამოყოფილი თანხა 2025 წლის ბიუჯეტში არის 6 725 ათასი ლარი, ანუ საკონსტიტუციო ხელშეკრულების გარეთ საპატრიარქოს საჭიროებისათვის გამოყოფილ (ტელევიზიისათვის 800 ათასი ლარი) ასიგნებაზე 8,4 ჯერ მეტი!

**საკონსტიტუციო ხელშეკრულებით შექმნილი კომისია 13 წელია ადგენს ზიანის სიდიდეს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისათვის და ვერ დაადგინა, ხოლო მერე ხელის ერთი მოსმით, ფართო საზოგადოებრივი კონსესუსის გარეშე, დაბალი დონის ნორმატიული აქტით დაადგინა ამ ზიანის არსებობა სხვა კონფესიებისათვის და თან დაიწყო მისი ანაზღაურება!**

**ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩემი დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: საქართველოში ადგილი აქვს მართლმადიდებლური ეკლესიის საბიუჯეტო დისკრიმინაციას და ამაში წილი მიუძღვის როგორც ხელისუფლებას, ისე არამართლმადიდებლურ კონფესიებს და რელიგიებს, რომელთა წარმომადგენლები აღნიშნულ კომისიებში პარიტეტულადაა წარმოდგენილი.**

**მდგომარეობა ითხოვს დაუყოვნებლივ გამოსწორებას, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების პრაქტიკული რეალიზების გზით.**

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**




# «ოთარ-ბეგ, ქრისტე აღსდგა!» – «ჭეშმარიტად!»

## ეროსი მანჯგალაძის 100 წლისთავის გამო

**არანაირად არ შემიძლია, რომ არ გამოვეხმაურო მსახიობ ეროსი მანჯგალაძის დაბადებიდან 100 წლისთავს. ამას მიკარნახებს ერთი დაუვიწყარი სპექტაკლი, სადაც ეროსი მანჯგალაძე ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. საუბარია ა. სუმბათაშვილ-იუჟინის დრამაზე „ღალატი“.**

გუშინდელი დღესავით მახსოვს: სცენაზე ზის რჯულგამოცვლილი ჩალმიანი ქართველი, იგივე ეროსი მანჯგალაძე, რომელიც, ნერწყვმორეული, ხატებს ძვირფას ქვებს აცლის დამპყრობლების გულის მოსაგებად. ეს ოთარ-ბეგია. მოულოდნელად გაისმის ზარების რეკვა და სცენაზე შემოდის ბერი შავი ანაფორით, რომელსაც ხელში ჯვარცმა უკავია. აღდგომის დღეა.

„ოთარ-ბეგ!“ - შესძახებს ომახიანად ბერი მას; „ოთარ-ბეგ, ქრისტე აღსდგა!“ ოთარ-ბეგი გიჟივით წამოიჭრება, ჩალმას თავიდან მოიგლეჯს, დაიჩოქებს, „ჭეშმარიტად!“ - შეჰყვირებს და ჯვარცმას ემთხვევა.

დარბაზში მქუხარე ტაში გაისმის. ჩემს გვერდით შუა ხნის მამაკაცი ცრემლებს ვერ იკავებს და ტირის... არ დაგავიწყდეს, მკითხველო, რომ ეს ხდებოდა საბჭოთა საქართველოში, სადაც გაბატონებული იყო ათეიზმი.



როდესაც XX საუკუნის დიდი მოაზროვნე კარლ შმიტი შექსპირის ტრაგედიას– „ჰამლეტს“ აანალიზებს, იგი ხაზგასმით ამბობს, რომ იმდროინდელ პუბლიკას ეს ტრაგედია თუნდაც იმის გამო ესმოდა, რომ ვუალირებული სახით, შექსპირი ამ ტრაგედიით, მაყურებელს ახლო წარსულის რეალურ ფაქტებს ახსენებდა (კერძოდ, დედოფალ მარიამ სტიუარტისა და მისი ძის, მეფე იაკობის ისტორიას) და ამ მხრივ მართლდებოდა კ. შმიტის დასკვნა, რომ სპექტაკლში დრო იჭრება, სიტყვასიტყვით: „დროის შეჭრა თამაშში“ (**Carl Schmitt, Hamlet oder Hekub. Der Einbruch der Zeit in das Spiel**).

ახლა გავიხსენოთ ქართული საზოგადოების კოლექტიური ცნობიერება, სადაც ღრმად არის ჩამარხული დამპყრობელთაგან მოყენებული ტანჯვის განცდა, რომელიც რაღაცით ემსგავსება ფროიდისტულ კონცეფციას. კერძოდ: საზოგადოების ცნობიერება ემსგავსება „ისტერიული პაციენტების ცნობიერებას, რომლებიც იტანჯებიან გახსენებებისგან“, ხოლო ნევროზი წარმოადგენს უუნარობას, თავიდან მოიცილოს წარსულის ზეგავლენა. ფსიქოთერაპია ორთოდოქსულ ფროიდიზმში პაციენტის ფსიქიკური წარსულის ანალიზია, უმთავრესად – შორეული, ქვეცნობიერში ჩაძირულის, მაგრამ რომელიც მას აწმყოშიც ტანჯავს. აი, ამ ნევროზული დაავადების თეორიის გადატანის მცდელობა ხდებოდა ზოგადად საზოგადოების ცნობიერებაზე, როგორც ამას აკეთებს გერმანელი ფილოსოფოსი კარლ მანჰაიმი თავის 1934 წელს დაწერილ თხზულებაში „რაციონალური და ირაციონალური ელემენტები თანამედროვე საზოგადოებაში“. ის, რაც წინ აღუდგება ასეთ ნევროზებს, ეს ქრისტიანული რელიგიაა, რომელიც ასევე ჩამარხულია ქართველის ცნობიერებაში და რომლის დემონსტრირება მოხდა რუსთაველის თეატრის დარბაზში, ოთარ-ბეგის საქციელზე რეაქციის სახით.

**პარადოქსია, მაგრამ დღეს, დამოუკიდებელ საქართველოში, ქრისტიანობას ემუქრება მტერი სხვა მხრიდან – პოსტქრისტიანული, აღორძინებული წარმართობის ევროპიდან. მახსოვს, გერმანიაში ყოფნისას, ქ. კობლენცში (ჯერ კიდევ 2003 წელს), მასპინძლებმა შემომჩივლეს: აღმართული ჯვარცმა დაგვიმსხვრიესო!**

**საერთოდ, მართლდება სერგეი ავერინცევის სიტყვები, რომ დღეს ევროპაში მხოლოდ ქრისტიანული ოაზისებია დარჩენილი. მოხდება თუ არა ევროპაში ჯვაროსანი, ლუდოვიკო IX-ის სულისკვეთების აღორძინება?**

**ვიქტორ რცხილაძე**



# აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

**რამდენად მართალია პარტია, როდესაც მსახიობისაგან მოითხოვს არამარტო ოსტატობას, არამედ მტკიცე იდეურობას, მოქალაქეობრიობას. არამოაზროვნე, უპრინციპო შემოქმედს ადვილად შეიძლება, გაუღვივო ყველა ეს უარყოფითი თვისება, რომელიც, სამწუხაროდ, როგორც ძველის გადმონაშთები, ჯერ კიდევ თან სდევს ჩვენს პროფესიას.**

**ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საშინელი ტრავმა იყო ჩემთვის ბერიასგან ასეთი დახასიათება ახმეტელისა. ძნელად ვურიგდებოდი იმ აზრს, რომ საშას — ჩემს თვალში განსახიერებას მეგობრობისა, გამტანობისა — შეეძლო, ჩვენი დასი გაეტყუებინა უცხოეთში, ვითომდა გასტროლებზე და შემდეგ იქ დავეყარეთ და თვითონ კი წულუკიძესთან ერთად მხოლოდ თავის თავზე ეფიქრა. მაგრამ ვინ იყო ისეთი, რომ ბერიასათვის არ დაეჯერებინა.**

რასაკვირველია, უცხოეთში არ გაგვიშვეს და ბერიას ნათქვამიც გამართლდა.

ხშირად მაგონდებოდა წულუკიძის სიტყვები, ახმეტელისადმი თქმული:

**„საშა, აქ შენ არ გაფასებენ, ანგარიშს არ გიწევენ. საზღვარგარეთ უნდა წახვიდე, ამერიკაში, იქ დადგა სპექტაკლები. იქ შენს ნიჭს ჯეროვნად დააფასებენ, იქ შენ მსოფლიო სახელს გაიკეთებ, აქ კი დაიღუპები.**

ამგვარ აზრებს უჩიჩინებდა წულუკიძე ახმეტელს და აძულებდა თავის კოლექტივს, თავის თეატრს, თავის ამხანაგებს. წულუკიძეს ჩვენ ვძულდით კიდევ იმიტომ, რომ, როდესაც გავიგეთ, რომ სანდრო აპირებს, წაართვას წულუკიძე ს. ამაღლობელს, ვისი ცოლიც იყო, და მასზე ჯვარი დაიწეროს, კოლექტივის უფროსმა ამხანაგებმა, ყოფილმა კორპორანტებმა კატეგორიულად მოვთხოვეთ საშას, თავი დაენებებინა წულუკიძისათვის. ვაფრთხილებდით, რომ წულუკიძე, თავისი უზნეო ხასიათისა და კარიერისტული სულისკვეთებით განწყობილების გამო, ეცდება, საშა წააჩხუბოს მის ამხანაგებს და ამით დაანგრიოს კოლექტივი. საშას გული წაუვიდა, რომ მოსულიერდა, გვითხრა: ამხანაგებო, ნუთუ მე ისეთად მიცნობთ, რომ ქალზე გაგცვალოთო. რა გვეთქმოდა. „მაჩუქეთ მე ეს ქალი“, — თქვა საშამ და ჩვენც „ვაჩუქეთ“. დავიჯერეთ მისი სიტყვები. წულუკიძემ ეს იცოდა და, რასაკვირველია, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ყოფილ კორპორანტებს, განსაკუთრებით, ჩემსა და საშას შორის არსებული მეგობრობა ჩაეფუშა.

წულუკიძე ვერ იტანდა, როდესაც რეცენზიებში ჩემი და ვასაძის შეფასება მაღალი იყო, ვინემ მისი. ცდილობდა, დემაგოგების და პროვოკატორების მეშვეობით დაეშალა დასი. გადაგვკიდებოდა ახალგაზრდობა. ეს შეძლო კიდეც. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ნაწილი ახალგაზრდობისა — ელ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, ვ. ლაღიძე, ი. ქანთარია, ბ. შავიშვილი, რ. ბერიძე და სხვანი. არწმუნებდა მათ, რომ საშას უნდა ჩვენი მოშორება და მთელი გულისყური ახალგაზრდობაზე უნდა გადაიტანოს და სხვა ამგვარი.

რამდენად მართალია პარტია, როდესაც მსახიობისაგან მოითხოვს არამარტო ოსტატობას, არამედ მტკიცე იდეურობას, მოქალაქეობრიობას. არამოაზროვნე, უპრინციპო შემოქმედს ადვილად შეიძლება, გაუღვივო ყველა ეს უარყოფითი თვისება, რომელიც, სამწუხაროდ, როგორც ძველის გადმონაშთები, ჯერ კიდევ თან სდევს ჩვენს პროფესიას.

წულუკიძეს ანჯაფარიძის სახელი მოსვენებას არ აძლევდა. თუ ანჯაფარიძე მარჯანიშვილის თეატრში პრემიერშად ითვლებოდა, წულუკიძეს რუსთაველის თეატრში უნდოდა, თავის მიმართ დაემკვიდრებია იგივე. ზინაიდა რაიხის მაგვარად, რომელსაც ხელში ჰყავდა ჩაჭერილი მეიერჰოლდი, სურდა, ახმეტელი ხელში ჩაეგდო და რუსთაველის თეატრი თავის თეატრად გაეხადა. კატეგორიულად ვაცხადებ: რომ არა წულუკიძე, ახმეტელს ბევრი უბედურებანი, რაც მას თავს დაატყდა, ასცდებოდა და, შეიძლება, არც დაღუპულიყო.

წულუკიძე აქეზებდა ახმეტელს, არ დაეგდო ყური ცეკასათვის და დამოუკიდებლად ემოქმედა თეატრში. ხშირად ამბობდა: **ამ კომუნისტებმა თავი დაგვანებონ, ხელს ნუ გვიშლიან, თავადვე ვიცით, რასაც ვაკეთებთ.**

რასაკვირველია, ბერიამდე ეს ამბები მიდიოდა. ერთხელ ბერია ცენტრალური კომიტეტის აივანზე სეირნობდა, ახმეტელი რამდენიმე თავის ამხანაგთან ერთად ქუჩაში მიდიოდა. რა დაინახა ბერია, თავის ამხანაგებს უთხრა ბერიას გასაგონად — „მაიცათ, მე ამ მეგრელს მალე ვაჩვენებ სეირს“. სანდროს ამგვარი „გმირობის“ შესახებ წულუკიძე დასში ამბობდა. ბევრი აღფრთოვანებული იყო სანდროთი — „რა უშიშარი და ვაჟკაცი კაცია. ბერიასიც კი არ ეშინია“. მე ბევრჯერ მითქვამს სანდროსთვის, დაენებებინა ასეთი დემონსტრაციებისათვის თავი, მაგრამ ის გაიძახოდა, მე მაგისი არ მეშინიაო. ვატყობდი, რომ საშა თანდათან გვცილდებოდა, ჩემი სიყვარული და პატივისცემა მისდამი არ შენელებულა, თუმცა, მრავალი ეჭვი ტრიალებდა ჩემს გულში...

როდესაც ერთხელ საშას ვუთხარი, წულუკიძე (უკვე ცოლი იყო მისი) ანგრევს კოლექტივს და ყურადღება მიაქციე-მეთქი, გამიჯავრდა და მითხრა, — არაფერსაც არ ანგრევს და მე უკეთ ვიცი, რასაც აკეთებსო.

დასში ახმეტელის გმირობის და ვაჟკაცობის კულტი იყო გამეფებული, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში, და ამ კულტის განსახიერება იყო თვით ახმეტელი, ამ კულტის გამაღვივებელნი იყვნენ თამარ წულუკიძე და ის ახალგაზრდობა, რომლებიც ცხოვრების გარეშე იყვნენ. უნდა ვთქვა, ამ კულტის შექმნაში თვითონ ახმეტელს მოკრძალებით ეჭირა თავი, მაგრამ, რასაკვირველია, უხაროდა ეს ამბავი. ჩვენ, ძველი კორპორანტები, ვგრძნობდით, რომ მას, როგორც გვჩვეოდა ხოლმე, ჩვენგან პირში თქმა მისი ნაკლის შესახებ სწყინდა და ვერიდებოდით მასთან კონფლიქტს, წულუკიძე კი თავის საქმეს აკეთებდა. ბერიასთან ჩვენმა ყოფნამ (ზინების შესახებ) საშინელი გაბრაზება გამოიწვია საშასი, წულუკიძესი და ნაწილ დასშიც. საზოგადოდ, საშას არ უყვარდა, რომ დასის წევრს რაიმე საქმიანი დამოკიდებულება ჰქონოდა თეატრის გარეშე პირებთან, ან რაიმე ეზრუნა ვინმეს თავისი პირადი საქმისათვის მის გარეშე. ჩვენი საქციელი ბერიასთან ზინის საკითხზე ყოფნის შესახებ შეფასებული იყო წულუკიძის და სხვათა მიერ, როგორც ახმეტელის უგულებელყოფა და ღალატი მისდამი და საშას ჩვენით უკმაყოფილება უფრო გაიზარდა. უნდა ვთქვა, რომ მე არავისთან დამიმალავს, რომ ვიყავი ბერიასთან. ან რა იყო აქ დასამალი. მე ისევ ვიყავი მისი მეგობარი და დამოკიდებულება მისდამი არ შემცვლია. დარწმუნებული ვიყავი, რომ საშა გონს მოვიდოდა, გაიფანტებოდა ის თავბრუდამხვევი ალერსი და სიყვარული, რაც წულუკიძემ, ახალგაზრდა ქალმა, თავს მოახვია უკვე ნელ დაღმართს მყოფ სანდროს და თეატრს დაგვიბრუნდებოდა ის საშა, რომელიც ყველას გვიყვარდა და რომლის დიდ ნიჭს ყველა ვაფასებდით. სამწუხაროდ, ეს არ გამართლდა და წულუკიძემ გვაჯობა.

რასაკვირველია, წულუკიძის სიძულვილი ჩემდამი უფრო გაძლიერდა და ამით გაიზარდა მისი ზეგავლენა საშაზე. როდესაც თეატრის 10 წლისთავის იუბილე გაიმართა, მთავრობამ ახმეტელს, ვასაძეს და მე მოგვანიჭა სახალხო არტისტის წოდებები, ხოლო წულუკიძეს დამსახურებული მსახიობისა. ამ ფაქტმა მოთმინებიდან გამოიყვანა წულუკიძე. მან თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, როგორც მსახიობმა, და, არ გამოთქვამდა რა აშკარად თავის უკმაყოფილებას, ახმეტელს უმტკიცებდა, რომ ერთნაირი წოდების ჩვენთან ერთად მიღება არის საშას შეუფასებლობა, უგულებელყოფა და სხვა ამგვარი. რასაკვირველია, სანდრო ადამიანი იყო და ამგვარი ჩაწვეთებები მასზე მოქმედებდა. საშამ დაკარგა უნარი, კრიტიკულად შეეფასებინა ყოველივე, რასაც ეუბნებოდნენ, და სავსებით მოექცა წულუკიძის გავლენის ქვეშ.

რასაკვირველია, გამოჩნდნენ თეატრში პოდხალიმები, ისეთები, როგორებიც იყვნენ კორიშელი, მისი მეუღლე, დები ღვინიაშვილები და სხვები, რომლებიც თითქოს „თავგამოდებით“ იცავდნენ საშას ავტორიტეტს და პიროვნებას ნამდვილად არარსებული მტრებისაგან ჩვენის სახით (ვიგულისხმებ მე, ვასაძე, პატარიძე, ტუსკია, აღსაბაძე, გამრეკელი და სხვები).

თეატრში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა.

წავედით საგასტროლოდ ბაქოში. თეატრი კარგად გავიდა. მოწონება დიდი იყო. წერდენ განსაკუთრებით ახმეტელზე როგორც რეჟისორზე, ჩემზე და ვასაძეზე, როგორც მთავარი როლების შემსრულებლებზე...

მსახიობები მაშინაც და შემდეგშიაც ნაწყენი იყვნენ ჩემზე, რომ მათზე ნაკლებად წერდნენ და ჩემზე კი მეტს. რას არ მაბრალებდნენ: რომ თითქოს მე ვაწერინებ ჩემზე რეცენზიებს. რა სულმდაბლობაა. უმთავრესად დასწერდნენ, რასაკვირველია, მთავარი როლის შემსრულებლებზე. კარლოსი, ანზორი, ბერსენევი, არგიულდი, ოტელო, არსენა, იჩო, დიდი ხელმწიფე, ოიდიპოსი, მურადოვი, სააკაძე და სხვა წამყვან როლებზე წერდნენ, უმთავრესად და ამ როლებს მე ვთამაშობდი. აბა, ვისზე უნდა დაეწერათ. და, თუ



სანდრო შანშიაშვილი, აკაკი ხორავა, სანდრო ახმეტელი. 1920-იანი წლები

**ახმეტელმა გადაწყვიტა, რომ თავის ცოლთან ერთად მოსკოვს წასულიყო და იქიდან ებრძოლა ბერიას წინააღმდეგ. მისი მომხრეები თეატრში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახმეტელი ბერიას დაამარცხებდა და დაბრუნდებოდა თეატრში ისევ.**



**გაგრძელება,**

დასაწყისი იხილეთ „სრ“ №24, 25, 28-29, 30-33




თამარ წულუკიძე გადასახლებისას.

მაქებდენ, რასაკვირველია, მეც მიხაროდა და ვცდილობდი, უფრო კარგად მეთამაშნა. იმისათვის, რომ შურიანი მსახიობების ავადმყოფური თავმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა, ხომ არ ვეცდებოდი, რომ ცუდად მეთამაშნა.

ამ გასტროლების დროსაც წულუკიძეზე ნაკლებად წერდნენ. რასაკვირველია, ამას წონასწორობიდან გამოყავდა წულუკიძე, ახმეტელი თითქმის ჩამოგვაშორა თავის ამხანაგებს და სულ წულუკიძის გარემოცვაში იმყოფებოდა. ჩვენ კი: პატარიძე, ვასაძე, აღსაბაძე, ტუსკია, გამრეკელი, მ. აფხაიძე, მე, საღარაძე, ჯაფარიძე, ლაფაჩი, თუშიშვილი და ზოგიერთი სხვებიც, ჩვენდა უნებურად, ცალკე დავრჩით.

**ვცხოვრობდით სასტუმროში. აქვე ვსაუზმობდით და ვსადილობდით. ერთ დილას ჩაის დასალევად სასტუმროს რესტორანში შევედი. იქ ყოველდღიურად იჯდა ხოლმე მისთვის მიკუთვნილ მაგიდასთან ცნობილი სომეხი მსახიობი აბელიანი. აბელიანი ხშირად ესწრებოდა ჩვენს წარმოდგენებს და ეტყობოდა, კმაყოფილი იყო ჩვენით. რომ დამინახა, მიმიწვია თავის მაგიდასთან. მთხოვა, მასთან დავმჯდარიყავი. მეც უარი ვერ ვუთხარი, — მაინტერესებდა ამ დიდი მსახიობის გაცნობა და მასთან გასაუბრება. უყვარდა კონიაკის დალევა. მომაწოდა მეც და ასე შევყევით ლაპარაკს და თანაც პატარ-პატარა სასმისებით კონიაკს ვსვამდით. ჩვენ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა. ყვებოდა თავის ახალგაზრდობაზე, იგონებდა ქართველ, სომეხ და უცხო ქვეყნების მსახიობებზე, ამა თუ იმ როლის შესრულებაზე. ისე შევყევი ამ საინტერესო საუბარს, რომ ვერც კი შევამჩნიე, კონიაკი როგორ მომეკიდა. მალე სადილობის დროც მოვიდა. იმ საღამოს იჩოს ვთამაშობდი. გამოვემშვიდობე. ვატყობ, მთვრალი ვარ. ყველამ იცოდა, რომ თეატრში მთვრალი მისვლა, საზოგადოდ, და ჩემ ირგვლივ შექმნილი ვითარებისა გამო, ჩემსა და ახმეტელს შორის დიდ სკანდალს გამოიწვევდა. წარმოდგენის დაწყებამდე დიდი დრო იყო. პირი დავიბანე, სარჩიმელიძემ მანქანა იქირავა და მთელი ერთი საათი დავდიოდი ქალაქში, რომ სიმთვრალე გამსვლოდა. მოვასწარი ერთი საათი წაძინებაც. და თავის დროზე თეატრში სრულიად ფხიზელი გამოვცხადდი. რასაკვირველია, ახმეტელი დაარწმუნეს, რომ მე მთვრალი მოვედი და მესმოდა ახმეტელის ლანძღვა-გინება ჩემი მისამართით გვერდითი საპირფარეშოდან. წარმოდგენა ჩვეულებრივად ჩატარდა.**

მე სრულიად ფხიზელი ისევე მსუბუქად დავდიოდი და ხელზე წამოწოლილს ვატარებდი ლამარას ძალზე დაქანებულ დეკორაციაზე. ახმეტელმა ხელი ჩასჭიდა ამ ამბავს და თურმე იმუქრებოდა, რომ მე თეატრიდან მომხსნიდა. მე მესმოდა ეს ხმები, მაგრამ მაინცადამაინც ყურადღება არ მიმიქცევია — როგორ ვიფიქრებდი, რომ საშა ისე დაწვრილმანდებოდა, რომ მომხსნიდა თეატრიდან წარმოდგენის ჩატარებისას სრულიად უდანაშაულოს. ბაქოში ყოფნის დროს სანდრომ არაფერი მითხრა. დამთავრდა გასტროლები. თბილისში ჩამოვედით. ცოტა ხნის შემდეგ შევუდექით მომავალი სეზონისათვის მზადებას. ერთ დილით მოვდივარ რეპეტიციაზე. გასახდელთან შემხვდა დასის გამგე ივ. ლაღიძე და მითხრა, რომ ახმეტელმა მომხსნა და მთხოვა, სარეპეტიციო დარბაზში არ შევსულიყავი. რასაკვირველია, ეს ძალზე მეოცა. რეპეტიციაზე არ შევედი. მინდოდა, მენახა ახმეტელი. სცენაზე შესასვლელ კორიდორში შევხვდი მას. მარტო ორნი ვიყავით. უნდოდა, გვერდი აევლო ჩემთვის. მე გავაჩერე და ვუთხარი: ცოტა ხანს შეჩერდი, საშა. ახლა გავიგე, რომ შენ დაგიწერია ჩემი თეატრიდან მოხსნის შესახებ. მე ამაზე არაფერს გეუბნები. რაკი ასე გინდა, ასე იყოს. ალბათ, თეატრისათვის ასე სჯობს, თუმცა ჩემი მოხსნა შენი გულიდან არ გამოდის. მე კარგად ვიცი, რაშია საქმე. ბევრი წლები მე და შენ ერთად ვიბრძოდით თეატრის გამარჯვებისათვის. ვიყავით მაგარი მეგობრები. შენ ბევრი გაგიკეთებია ჩემთვის, რისთვისაც მადლობელი ვარ. მოდი, გავშორდეთ ერთმანეთს, როგორც ამხანაგები. ახლა დაიწყება თბილისში ჭორიკანობა, ამით ისარგებლებენ რუსთაველის თეატრის მტრები. მოვიქცეთ კეთილშობილურად. დავიფაროთ ჩვენი წარსული მეგობრობა, რომ მე არ გავხდე მიზეზი ჭორებისა და მითქმა-მოთქმისა. მე ახლა წავალ სახლში და იქიდან არ გამოვალ. არავის შევხვდები. არავის არაფერს ვეტყვი. შენც გირჩევ, ნაკლები ილაპარაკო, მე რომ ვიცი შენი ამბავი — რომ გაბრაზდები, გონიერებას კარგავ და რას ამბობ, შენ თვითონ არ გესმის. მაგრამ იცოდე, საშა, თუ გავიგე, რომ შენ თავის მართლების მიზნით ჩემზე ცუდს ილაპარაკებ ან სახელის გატეხას დამიპირებ, მაშინ მე ვიტოვებ უფლებას მოქმედებისას. გისურვებ გამარჯვებას შენა და შენს თეატრს. მეც მცირე წილი მიდევს ამ თეატრის საქმიანობაში. იყავი კარგად.

ჩამოვართვი ხელი, გადავკოცნე, გამოვბრუნდი და წავედი სახლში ისე, რომ არავისთვის არა მითქვამს რა. ბინიდან სრულებით არ გამოვსულვარ. რასაკვირველია, დაიწყო თურმე ქალაქში მითქმა-მოთქმა, ათასი ჭორები. წულუკიძე და მისი დამქაშები რას არ ამბობდნენ ჩემზე, რომ საშას მიერ ჩემი დათხოვნა ხალხში გაემართლებინათ. რასაკვირველია, ჩემი ამხანაგები აღშფოთებულნი იყვნენ. ჩემმა დათხოვნამ ხალხშიც და ხელისუფლებაშიაც აღშფოთება გამოიწვია.

ჩემს გვერდით ცხოვრობდა ივ. აბაშიძე. ერთ საღამოს, როდესაც ჩვენი ოჯახი საღამოს აივანზე ვიყავით და ჩაის შევექცეოდით, გაიღო აბაშიძის დერეფნიდან კარი და სრულიად მოულოდნელად შემოვიდა წულუკიძე, მოგვესალმა და მითხრა, რომ ჩემთან საქმე ჰქონდა. ძალზე გამიკვირდა: წულუკიძე, რომელმაც თეატრში დაატრიალა ორომტრიალი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ საშა და მე დავშორებოდით ერთმანეთს — ჩვენს ოჯახში მოდის, თითქოს არაფერი მომხდარა, შენობით მელაპარაკება, რასაკვირველია, ამან აღმაშფოთა, მაგრამ მასპინძელი ვიყავი და არ შემეძლო, წულუკიძე სახლიდან გამეგდო. მითხრა: **საშას უნდა პირისპირ დაგელაპარაკოს, მას ვასაძე არ უყვარს და მასთან ლაპარაკი არ სურს. ღამე მანქანით გამოგზივლის, ქალაქგარეთ გახვალთ და იქ დაილაპარაკებთ, ის უთუოდ დაგაბრუნებს თეატრში, ნუ ღელავ, დაილაპარაკეთ.**

**— მე თავვი არა ვარ, რომ კატასავით მეთამაშონ, თუ რა უნდა ვუთხრა. მან მე გადამიღო, მაშასადამე ამის გაკეთება უნდოდა, პატარა ბიჭი ხომ არ არის, არ იცოდეს რასაც აკეთებს! მე მას არ შევხვდები! ხმები მომდის, რომ საშა და თქვენ მძლანდავთ! ხომ ხედავთ, პიროვნას არ ვჭამ, სახლიდან ფეხს არ ვადგამ! თქვენ კეთილი ინებეთ და თავი შეიკავეთ!**

ვუთხარი ეს და განზე გავდექი. წულუკიძე წავიდა — მაინცადამაინც ჩემი ოჯახის წევრებსაც სიხარული არ გამოუმჟღავნებიათ წულუკიძის სტუმრობით. მისი წასვლის შემდეგ სულ ვფიქრობთ, რა მანევრი იყო ეს საშას მხრიდან. რა მახეს მიგებდნენ კიდევ. ვფიქრობდი, რომ საშას სურდა ჩემი და ვასაძის წაჩხუბება და ამიტომ სურდა ჩემთან მოლაპარაკება. (როგორც თ. ბაქრაძემ გადმომცა, საშას უთქვამს მისთვის — რას გადაეკიდა აკაკი ამ ვასაძეს, რა არის მათ შორის საერთოო). რასაკვირველია, თეატრში ჩემმა მოხსნამ დასის გათიშვა გამოიწვია. პროტესტის ნიშნად თეატრიდან წასვლა გადაწყვიტეს ვასაძემ, პატარიძემ, ტუსკიამ, აღსაბაძემ, არ. გამრეკელმა, საღარაძემ, მ. აფხაიძემ, სტ. ჯაფარიძემ, თუშიშვილმა, ლაფაჩმა და ზოგმა სხვამაც. გადაწყვეტილი ჰქონდათ, წასულიყვნენ ყველანი რომელიმე რაიონის თეატრში და იქ ემუშავნათ. ახმეტელს კი სავსებით მოშორებოდნენ.

ერთ საღამოს დანამდვილებით გავიგე, რომ ახმეტელი ჩემი უარის შემდეგ საშინელ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდა ჩემ შესახებ საზოგადოებაში. პარტიულებში ამბობდა, რომ მე მენშევიკი ვარ, ტერორისტი და საბჭოთა ხელისუფლების მტერი, ხოლო უპარტიოებში ამბობდა, რომ მე ჩეკისტი ვარ და სხვა ასეთი. ამის გაგებამ საშინლად აღმაშფოთა. როგორ შეიძლება, კაცი ისე გაბოროტდეს, რომ თავის ყოფილ მეგობარზე ასეთი სისაძაგლეები თქვას. ეს პროვოკაცია ვერ მოვითმინე და გაბრაზებულმა (ახალი დაღამებული იყო) ჩავიდევი რევოლვერი ჯიბეში, გავვარდი სახლიდან და წავედი თეატრისაკენ იმ განზრახვით, რომ ახმეტელი მომეკლა. ვერ მოვითმინე მისი ასეთი ჩემი დამცირება და შეურაცხყოფა. ალბათ, ძალზე გულმოსულმა გონება დავკარგე. ერთი აზრი მიტრიალებდა — ახმეტელი მომეკლა და ამით ჩემი სახელი დამეცვა. რომ გზაში არავინ შემხვედროდა და რომ ჩემი მეუღლისათვის გზა-კვალი ამებნია (ნინა მიხვდა, რომ მე კარგ საქმეს არ ვაპირებდი, ალბათ, სახეზე მეტყობოდა აფორიაქება, და გამომედევნა), ავედი ზევით და მიხვეულ-მოხვეული გზით მთის გასწვრით თეატრისაკენ თითქმის გავრბოდი. ჩამოვედი ჭავჭავაძის ქუჩით. გადავედი ოპერისაკენ და გავეშურე თეატრისკენ. ოპერის წინ გაჩირაღდნებული იყო — წარმოდგენა ახალი დაწყებული იყო. კი არ მივდიოდი, მივრბოდი. შვილო, აკაკ, — შემომესმა ხმა, მივიხედე, ჩემ წინ გაჩნდა ყოფილი მსახიობი ქეთო ანდრონიკაშვილი. წამავლო ხელი და გამაჩერა (ანდრონიკაშვილი რაღაც ნათესავად ერგებოდა ჩვენებს). დამიწყო რაღაც ლაპარაკი, ხელს არ მიშვებდა. საიდანღაც ჩემი მეუღლეც წამომეწია, ორივემ ჩამჭიდეს ხელი და არ მიშვებდნენ. ვერაფრით შევძელ, თავი დამეძვრინა მათგან. ქუჩაში ხალხი მიდიოდა, ალბათ, უჩვეულო სანახავი ვიყავი. ნაცნობები შემოგვეხვივნენ. ანდრონიკაშვილმა მითხრა, რომ ჩვენსა სახლში მოდიოდა და მთხოვა, გავყოლოდი. ამ ქაჩავ-ქაჩავში გულმა გადამიარა და მეც უკან დავბრუნდი. ახლა რომ ვფიქრობ, — რა დიდი მადლიერების გრძნობით ვიგონებ ანდრონიკაშვილს და ჩემს მეუღლეს, საშინელ საქმეს რომ გადამარჩინეს. ერთ წუთს რომ წარმოვიდგენ, რომ მე საშას მოვკლავდი და, რასაკვირველია, მეც თავს მოვიკლავდი, შემდეგ დაიწყებოდა ჭორები, ვინ იცის, რას არ დამწამებდნენ, გავაუბედურებდი თეატრს, ჩემ თავს, ჩემს ოჯახს. რასაკვირველია, ეს საშინელება იქნებოდა.

მე დიდად ვაფასებდი და დღესაც ვაფასებ ახმეტელს, როგორც დიდ შემოქმედს. პირადად მე დიდად მადლიერი ვარ მისი და არასოდეს დავივიწყებ, რაც მან ჩემთვის, როგორც მსახიობისათვის, გააკეთა. მაგრამ ახლა საქმე ჩემში როდია. როგორ შეემძლო, წარმოედგინა რუსთაველის თეატრი უახმეტელოდ.

**(გაგრძელება იქნება)**



ვასო გოძიაშვილი, დუდარ მარგიევი, აკაკი ხორავა და მიხეილ ჭიაურელი ფილმ «რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!» გადაღებისას




ბრიტანულ გაზეთ **„დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph)** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„დონალდ ტრამპი საოცრად მართალიც არის და სახიფათოდ უსამართლოც: MAGA-ს იმპერიალისტური ამბიციები ევროპელ მემარჯვენეთა მიზნებს ეწინააღმდეგება“** (ავტორი – ალისტერ ჰითი), რომელშიც გაანალიზებულია აშშ-ის პრეზიდენტის ლოზუნგის – „დავუბრუნოთ ამერიკას ძველი დიდება“ – მნიშვნელობა აშშ-ის ფარგლებს გარეთ – სასარგებლოა თუ უსარგებლო MAGA ამერიკის მოკავშირეებისათვის?

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

The Telegraph




# საოცრად მართალიც და უსამართლოც!

**დონალდ ტრამპი არც მესია არ არის და არც დემონი. მისი მლიქვნელები და მოძულეები ერთნაირად არასწორნი არიან. რეალობა გამოხატული ნიუანსებით: არის კეთილი ტრამპი და არის ბოროტი ტრამპი, ერთ პრეზიდენტში ორივე რთულად ეთავსება ერთმანეთს.**

დონალდ ტრამპი საოცრად მართალია რიგ მომენტებში, მაგრამ იმავდროულად სახიფათო შეცდომებს უშვებს და არასწორად მოქმედებს. იგი განსაკუთრებული ფიგურაა, რომელიც ამერიკულ საზოგადოებაზე და ადამიანების თაობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, მაგრამ თავისი სოლიფსური მსოფლმხედველობით (მხოლოდ საკუთარი გონების რწმენა და ობიექტური რეალობის უარყოფა), დაუდევარი დამოკიდებულებით ფაქტების მიმართ და გადაჭარბებული პატივისცემით ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანებისადმი აშშ-ის პრეზიდენტი თავისუფალი სამყაროს ბედს რისკის წინაშე აყენებს.

**როცა დონალდ ტრამპი ნორმალურად იქცევა, იგი ნამდვილად კარგი ადამიანია. მისი პოლიტიკა ქალების უფლებების საკითხებში, ანტისემიტიზმთან ბრძოლაში, ისრაელისადმი მხარდაჭერაში, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლაში, მერიტოკრატიის ხელშეწყობაში, როცა თანამდებობების დაკავებაში კანის ფერს მნიშვნელობა არ აქვს და მხოლოდ ჭკუა-გონება და შრომისმოყვარეობა ფასდება, სიტყვის თავისუფლებაში, ხარჯების დერეგულირებაში, მისი მკაცრი პოზიცია მფლანგველობასთან, ბედოვლათობასთან, არეულ-დარეულ მმართველობასთან – უბრალოდ, შთამაგონებელია.**

მაგრამ როცა გაბრაზებული ტრამპი რაიმე საკითხის გადაწყვეტას იწყებს, ის ნამდვილად საშინელი ადამიანი ხდება. მან საკუთარი თავი დაარწმუნა იმაში, რომ უკრაინა ცრუ ნარატივს წარმოადგენს. მან დაიჯერა, რომ უკრაინა რუსეთის მსხვერპლი არ არის. იგი ბრალდებას უყენებს მსხვერპლს, მას მოსწონს უკრაინის პრეზიდენტის დამცირება პირდაპირ ეთერში, იგი აიძულებს ვოლოდიმირ ზელენსკის, რომ იგი აშშ-ის ძლიერი პრეზიდენტის მორჩილი იყოს და ამ მიზნით სამხედრო დახმარებას უწყვეტს. დონალდ ტრამპისთვის ვლადიმერ პუტინი მონსტრი კი არ არის, რომელიც უკრაინელებს გენოციდს უწყობს, არამედ კოლეგა-პრეზიდენტი.

**დონალდ ტრამპს, როგორც ჩანს, გულწრფელად სურს მშვიდობის დამყარება. შესაძლოა, ვოლოდიმირ ზელენსკიც არასწორად მოიქცა - ალბათ, თავი უნდა შეეკავებინა მასთან საუბარში, მაგრამ ჩვენთვის, რომლებსაც „პაქს ამერიკანას“ (Pax Americana – მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკური სტაბილურობა) იმედი გვაქვს, იმ აზრის დაშვება, რომ ამერიკას შეუძლია დასავლური სამყარო მიატოვოს, უბრალოდ, საშინელებაა. ჩინეთის განცხადება, რომ ის მზად არის ნებისმიერი ომისათვის, ცეცხლზე ნავთს ასხამს და ჩვენი უსაფრთხოების მიმართ რწმენას გვისუსტებს.**

დიახ, ჩვენი მეტწილად უსაქმური მთავრობები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში აშშ-ის სამხედრო დაცვის იმედზე იყვნენ, ეს პრობლემა არ აწუხებდათ და იოლად ხარჯავდნენ უამრავ თანხებს სოციალურ დაცვაში, დიდებული მიზნის – ადამიანთა კეთილდღეობის ზრდისათვის, ვალდებულები იყვნენ მეტი ყურადღება დაეთმოთ თავდაცვისათვის და მეტი უნდა ეზრუნათ თანამოქალაქეთა უსაფრთხოებისათვის. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ტრამპი თავის ერთგულ მოკავშირეებს ისე ეპყრობა როგორც ვასალებს ან მათხოვრებს, რომლებსაც შეიძლება ყურადღება არც მიაქციო. ტრამპს შეუძლია ისინი, ვინც მას უსიტყვოდ არ დაეთანხმება, დასაჯოს, გადასახადები დაუწესოს, ტარიფები მოუმატოს თავისი შეხედულებით. მისთვის ყველაფერი დამყარებულია ტრანზაქციებზე და გარიგებებზე, მისთვის მეგობრობა თითქმის არაფერს არ ნიშნავს – სამწუხაროდ, ჩვენი მეგობრობაც, რომლებსაც ამერიკა გულწრფელად, უანგაროდ გვიყვარს და პატივს ვცემთ. ტრამპი არღვევს თავისივე დადებულ სავაჭრო შეთანხმებებს კანადასთან და მექსიკასთან, ანგრევს ეკონომიკებს და სურს ამერიკის ტერიტორიის გაფართოება მეზობლების ხარჯზე.

ბევრი ამერიკელი რესპუბლიკელისათვის პასუხი მარტივია: ისინი ხომ აღმერთებენ დონალდ ტრამპს და ამიტომ რეფლექტორულად ახდენენ იმ ყველაფრის რაციონალიზებას, რასაც იგი აკეთებს. ისინი იმედოვნებდნენ და ახლაც იმედი აქვთ, რომ დონალდ ტრამპი მათ „სოციალიზმის ბორკილებისგან“ გაათავისუფლებს, შეამცირებს პანიკას და დასწევს ფასებს ენერგომემცველებზე. მათ მოეწონათ ჯეიმს ვენსის გამოსვლა მიუნჰენის კონფერენციაზე. მაგრამ იმავდროულად და მათთვის შეუმჩნევლად, კეთილთვისებიანი ტრამპი თანდათან ავთვისებიანად მოქმედებს და ცხოვრებას ურთულებს თავის პოლიტიკურ თანამგზავრებს, ბიძგს აძლევს მემარცხენეთა საპასუხო ბრძოლას მთელ მსოფლიოში.

### Hamish de Bretton-Gordon

## Trump is behaving like a businessman, not a Commander-in-Chief

Peace negotiations are not a game of Monopoly and their currency is not dollars but human lives




მემარჯვენეები არ უნდა იყვნენ ზედმეტად პატივისმცემლები ტრამპის მიმართ. დიახ, მას მხარი უნდა დაუჭირონ, მაგრამ როცა იგი მართალი არ არის და არასწორად იქცევა, იგი კიდეც უნდა გააკრიტიკონ. ობიექტურად თუ ვიტყვით, კრიტიკა უკვე იწყება.

როცა ჯეიმს ვენსმა უარყო უკრაინაში ევროპული ჯარების ყოფნის წინადადება და განაცხადა, რომ არ ღირს 20 ათასი ჯარისკაცის შეყვანა „შემთხვევით“ ქვეყანაში, რომელსაც 30-40 წელი არ უბრძოლიაო, ნაიჯელ ფარაჯი (ბრიტანეთის რეფორმირების პარტის ლიდერი) გაბრაზდა და მას პირდაპირ უთხრა, რომ მიუტევებელ შეცდომას უშვებდა. ჯეიმს ვენსის სიტყვები ბევრმა ბრიტანელმა გულთან მიიტანა და შეურაცხყოფად მიიღო, რადგან ბრიტანეთმა საკმაო მსხვერპლი გასწია ერაყში და ავღანეთში. კონსერვატორთა ლიდერი კემი ბადენოქიც იძულებული გახდა დისტანცირება მოეხდინა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებისაგან უკრაინასთან დაკავშირებით (მოგვიანებით ვენსმა განაცხადა, რომ მისი ნათქვამი არასწორად იქნა გაგებული).

**ტრამპის პროგრამა-მაქსიმუმი „დავუბრუნოთ ძველი დიდება ამერიკას“ (MAGA) დიდწილად იმპერიალისტურ ხასიათს ატარებს და არა ნაციონალისტურს – იმდენად, რამდენადაც დონალდ ტრამპის ექსპანსიონისტური ამბიციები შეხამებულია კომერციულ და სამხედრო ინტერესებთან (ჩინური „ერთი გზა - ერთი სარტყელის“ მსგავსად). უცხოელები მიიღებენ ამერიკულ ნაციონალიზმს და მას მეტ-ნაკლებად შეურიგდებიან, მაგრამ ისინი ვერ მოითმენენ ამერიკული იმპერიალიზმის გამოვლენას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის აშკარად მიმართულია წიაღისეულის მისატაცებლად.**

დიდ ბრიტანეთში აშშ-ის პრეზიდენტი უკვე პოპულარული აღარ არის, თვით მემარჯვენედ განწყობილ მოსახლეობაშიც კი. ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ამომრჩეველთა დაახლოებით 76% თვლის, რომ დონალდ ტრამპი უკრაინის ომს თავს ცუდადართმევს, 13% კი თვლის, რომ კარგად. მთელ ევროპაში პატრიოტულად განწყობილი ამომრჩევლები დონალდ ტრამპის მიმართ უკვე ალერგიას განიცდიან, რადგან იგი ევროპელ მემარჯვენე პოლიტიკოსებს, ანუ მათ ლიდერებს (მცირე გამონაკლისის გარდა) გესლავს და ცხოვრებას უმწარებს. ისინი სამართლიანად არიან აღშფოთებულები ტრამპის სავაჭრო სანქციებით ევროპის მიმართ.

შეუძლებელია, რომ პროექტი MAGA მთლიანად იქნას გადატანილი სხვა დასავლელი ქვეყნების პოლიტიკაში. იმიტომ, რომ MAGA მთლიანობაში არათანმიმდევრულ და ირაციონალურ იდეოლოგიურ პროექტს წარმოადგენს, რომელიც დროისა და სივრცისაგან არის მოწყვეტილი. MAGA არ არის ისეთი პროექტი, რომელიც ყველა სხვა ნებისმიერმა ქვეყანამ და ხალხმა თავისი აღორძინებისთვის შეიძლება გამოიყენოს.

MAGA-ს რეალიზებით დონალდ ტრამპს სურს ამერიკა ყველგან პირველობდეს – გამოცანის გასაღები თვითონ სახელწოდებაშია („დავუბრუნოთ ამერიკას ძველი დიდება“). შესაბამისად, ის რაც ამერიკელი მემარჯვენეებისათვის მუშაობს, შეუძლებელია ავტომატურად იმუშაოს ბრიტანელი, კანადელი, ტაივანელი ან ავსტრალიელი მემარჯვენეებისათვის. აშშ-ის ეროვნული ინტერესები საკმაოდ ხშირად სხვა დასავლელი სახელმწიფოების ინტერესებს არ ემთხვევა და ხშირად სრულიად ეწინააღმდეგება. MAGA მანიფესტი არ არის, რომლის ასლების გამრავლება და მთელი მსოფლიოს ქუჩებში გაკვრა შეიძლება. თუ ვინმე ამის გაკეთებას შეეცდება, ის დადგება ორგანოების წარუმატებელი ტრანსპლანტაციის პოლიტიკური ეკვივალენტის – ნეგატიური ეფექტის წინაშე: რეციპიენტის იმუნური სისტემა უცხო სხეულს შეუტევს და უკუაგდებს, როგორც შეუთავსებელს.

კანადის მაგალითი მსგავსი ეფექტის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს. პიერ პუალევრი, მემარჯვენე კონსერვატიული პარტიის ლიდერი, ჯასტინ ტრიუდოს უღიმღამო პრემიერობის შემდეგ გამარჯვების გზაზე იდგა, მაგრამ ამ დროს დონალდ ტრამპმა გამოაცხადა, რომ მას სურს კანადა აშშ-ის 51-ე შტატი გახდეს და სავაჭრო ტარიფები გაზარდა. საზოგადოებრივმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მემარჯვენე პიერ პუალევრის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, მემარცხენე მარკ კარნის პოპულარობამ კი, რომელიც ჯასტინ ტრიუდოს კიდევ ერთ შემცვლელად მოიაზრება, საკმაოდ მოიმატა.

პიერ პუალევრი, რომელიც ადრე ამერიკელ რესპუბლიკელებს სიმპათიით უყურებდა, დღეს მკვეთრად ეწინააღმდეგება ტრამპისტებს და აქტიურ ანტიამერიკელად გადაიქცა. არადა, აშშ და კანადა, ორი ერთმანეთის მოსაზღვრე ქვეყანა, რომლებიც ერთმანეთისათვის ნამდვილად ყველაზე თბილი მოკავშირეები იყვნენ, დღეს თითქმის ომის ზღვარზე დგანან. კიდევ ერთი ნიუანსი: დიდი ბრიტანეთის მეფე კანადის სახელმწიფოს მეთაურადაც ითვლება. რა უნდა ქნას ასეთ ვითარებაში ლონდონმა?

**თავისი გაუაზრებელი მოქმედებით დონალდ ტრამპმა დასავლელ მემარცხენე ელიტებს მოულოდნელი საჩუქარი მიუძღვნა. მათი სტრატეგია ნათელია: რა თქმა უნდა, მათ შეუძლიათ აშშ-ის მეთაურის გარკვეულ პრეტენზიებს დათანხმდნენ, მაგალითად, გაზარდონ სამხედრო ხარჯები, მაგრამ იმავდროულად ფსონი დადონ იმაზე, რომ ამომრჩევლები მემარჯვენე პარტიებს მხარს აღარ დაუჭერენ. ბრიტანელი ლეიბორისტები და ლიბერალ-დემოკრატებს იმედი აქვთ, რომ დონალდ ტრამპის ნეგატიური დამოკიდებულება უკრაინის მიმართ ხელს შეუწყობს მათ გაერთიანებას.**

**მოკლედ, აშშ-ის პრეზიდენტის იმპერიული ამბიციები, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიძლება ხელშემშლელ პირობად იქცეს ევროპული მემარჯვენე კონტრევოლუციისათვის, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და, საერთოდ, ევროპისათვის ამჟამად ერთადერთ იმედს წარმოადგენენ (მემარცხენე ნეოლიბერალების წინააღმდეგ).**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

## როგორ ვებრძოლოთ სეზონურ დაავადებებს?



გაზაფხული დადგა, რასაც თან ახლავს სეზონური დაავადებების, კერძოდ, ალერგიების გააქტიურება. ალერგია იმუნური სისტემის მგრძნობიარობაა ალერგენებზე, ანუ უცხო სუბსტანციებზე, მაგალითად, ოთახის ან ქუჩის მტვერზე, ცხოველის ბეწვზე და ა.შ. თუმცა გაზაფხულზე და შემოდგომობით განსაკუთრებით უტევს ადამიანის იმუნურ სისტემას ბუნებრივი ალერგენებიც, მათ შესახებ გამაფრთხილებელ და თავდაცვით საშუალებებზე გვესაუბრება ექიმი-ალერგოლოგი, ქალბატონი **მანანა სოსიაშვილი.**

# ალერგია სწორი და დროული მკურნალობის შემთხვევაში სრულიად უვნებელია!

**– ქალბატონო მანანა, როდიდან იწყება სეზონური ალერგენების გააქტიურება და რა არის საერთოდ, ალერგენი?**

– ალერგენი არის ნივთიერება, რომელიც იწვევს ალერგიულ რეაქციებს. ყველაზე გავრცელებული ალერგენებია: მტვერი, შინაური ცხოველების ბეწვი, ბალანი, შარდი და ნერწყვი, ობი, მწერების შხამი, განსაკუთრებით, ფუტკრის, კრაზანის, ბზიკის, ჭიანჭველის, კოღოს. ალერგენი შეიძლება იყოს ზოგიერთი საკვებიც, მაგალითად, რძე, თაფლი, კაკალი და ა.შ.

მაგრამ, როცა სეზონურ დაავადებებზე ვსაუბრობთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მცენარეებზე. მათი უმრავლესობა აყვავებას იწყებს თებერვლის თვიდან და გრძელდება ნოემბრის ჩათვლით.

ზაფხულში უფრო ხე-მცენარეები ყვავის, არის ადრე მოყვავილე ხე-მცენარეებიც, როგორებიცაა, ჭადარი, თხილი, არიან გვიან მოყვავილეებიც, მაგალითად, მუხა და სხვ. გაზაფხულის დასრულებისთანავე ბალახოვანი მცენარეების ყვავილობა იწყება, მათ შორის, კოინდრის, ტიმოთელას, მარცვლოვანებისა: სიმინდის, შვრიას, ხორბლის, უფრო გვიან სარეველების, მაგალითად, ამბროზიასი და მისთ.

ამ დარგის სპეციალისტებს შემუშავებული გვაქვს თბილისსა და თბილისის გარშემო მცენარეთა ყვავილობის კალენდარი და ვიცით, როდის შეიძლება გამწვავდეს ალერგიული რეაქციები და რომელმა მცენარემ შეილება ის გამოიწვიოს;

დასავლეთ საქართველოში განსხვავებული სურათია, რადგან იქ მცენარეული ფონი სხვანაირია და ყვავილობის პერიოდიც სხვადასხვაგვარია. ამიტომ, როცა პაციენტი მოდის და ამბობს, რომ მას, მაგალითად, მარტში ეწყება ალერგიული რეაქციები, ჩვენ, დაახლოებით, ვხვდებით, რომელ მცენარეზე შეიძლება ჰქონდეს მას ალერგიული მგრძნობელობა.

მცენარეთა ყვავილობისგან გამოწვეულ ალერგიულ რეაქციას პოლინოზი ჰქვია და ის ვლინდება ალერგიულ რინიტსა და ალერგიულ კონიუნქტივიტში.

**– დაახასიათეთ ალერგიული რინიტი და ალერგიული კონიუნქტივიტი.**

– ალერგიულ რინიტს ახასიათებს ცხვირიდან წყლისმიერი გამონადენი, სუნთქვის გაძნელება, ცხვირის ქავილი, ცემინება და შეტევითი ხასიათის სუნთქვის გაუარესება. ალერგიული კონიუნქტივიტი ხშირად ცალკე მიმდინარე პროცესია, მაგრამ ის შეიძლება დაემატოს კიდევაც ალერგიულ რინიტს.

კონიუნქტივიტის მახასიათებლებია თვალის ზემო და ქვემო ქუთუთოების შეშუპება, შეწთლება, ქავილი, თვალებში უცხო სხეულის არსებობის შეგრძნება.

ალერგიული გამოვლინებები, რა თქმა უნდა, შეიძლება რინიტის სახით იყოს, ანდა კონიუნქტივიტის, მაგრამ თუ ერთდროულად ვლინდება, სახეზე გვაქვს რინო-კონიუნქტივიტი და მისი მკურნალობა განსხვავებული სახით მიმდინარეობს.

**– მცენარეების გარდა ალერგენად ქალაქში დაჭუჭყიანებული ჰაერიც ითვლება, არა?.**

– რა თქმა უნდა, მაგრამ, თუ სეზონურ ალერგიებზე ვსაუბრობთ, მათი მაპროვოცირებლები, ძირითადად, ხე-მცენარეები გახლავთ, ხოლო გამონაბოლქვმა აირებმა და მტვერმა შეიძლება დაამძიმოს მდგომარეობა.




**– აქვს თუ არა ალერგიას ასაკი?**

– ალერგიული რეაქციები ყველა ასაკში შეიძლება გამოვლინდეს, თუმცა სხვადასხვანაირად, მაგალითად, 3 წლის ბავშვს ალერგიული რინიტი არ გამოუვლინდება, მას აღენიშნება ზოგადი ალერგიული რეაქციები, დროთა განმავლობაში კი ხდება დიფერენცირება. თუ ასეთი რამ გამოვლინდა, მოზრდილ პაციენტს უტარდება ალერგოდიაგნოსტიკა, რათა გამოვლინდეს, რა იწვევს ალერგიულ რეაქციებს, შემდეგ მზადდება სპეციალური ვაქცინები და მიმდინარეობს მკურნალობა.

**– მაგრამ არის შემთხვევები, როცა ადამიანს ალერგიული რეაქცია გამოუვლინეს საკვებზე. ეს რამენაირად არის დაკავშირებული ალერგიების სეზონურ გამწვავებასთან?**

– მცენარეული ალერგენები გახლავთ მაპროვოცირებელი ფაქტორები, რომელთა ფონზე ვლინდება კვებითი ალერგიები.

მაგალითად, როცა ადამიანი შეამჩნევს, რომ ალერგიულმა რეაქციამ იჩინა თავი, უნდა მოერიდოს ციტრუსების მიღებას, ერიდოს არაქისს, თხილს, კაკალს, ნუშს, დროებით ამოიღოს მენიუდან თევზი და თევზისშემცველი პროდუქტები, მოლუსკები, კალმარები და ა.შ. ნუ მიირთმევს ფრინველის ხორცს, ძმარს, მდოგვს, მაიონეზს, აჯიკას, ტყემალს, სოკოს, კვერცხს, რძეს, თაფლს, მარწყვს, ანანასს, ჟოლოს, ატამს, ატმისებრთა ოჯახის ხილეულს, პამიდორს, პირშუშხას, ბოლოკს, ბადრიჯანს, ალკოჰოლურ სასმელებს, მათ შორის, ლუდს, უალკოჰოლო გაზიან სასმელებს, საფუარიანი ცომის ნაწარმს, გლუტეინის შემცველ მარცვლეულს.

**– ანუ, გამოდის, რომ თუ ალერგიულ რეაქცია გამოუვლინდა, ადამიანი, ფაქტობრივად, მშიერი უნდა იყოს?!**

– არა, რა თქმა უნდა, მაგრამ რეკომენდირებულია მიიღოს ბურღულეულის სუპები, ბრინჯი, შვრია, წიწიბურა, ბოსტნეულის ვეგეტარიანული სუპები, კარაქი, ზეითუნის, ან მზესუმზირის ზეთი, მოხარშული კარტოფილი, ხაჭო, კეფირი, მაწონი, ახალი კიტრი, საზამთრო, აეროღუმელში გამომცხვარი ვაშლი, ჩაი, ხილის კომპოტები, თეთრი პური, საფუარის გარეშე.

**– რა შემთხვევაში შეიძლება ადამიანს, რომელიც არასდროს ყოფილა ალერგიული, მოულოდნელად გამოუვლინდეს ალერგიული რეაქციები?**

– მთავარი ფაქტორი მემკვიდრეობითია, შეიძლება ადამიანი ატარებდეს ალერგიულ გენომს, მაგრამ ის არ გამოუვლინდეს, თუ არ შეხვდა მაპროვოცირებელი ფაქტორები, მაგალითად, თუ ადამიანს შთამომავლობით აქვს ალერგიული რეაქცია ნესტის სოკოზე და ის შესაბამის გარემოში მოხვდა, ასე ვთქვათ, „გამოიღვიძებს“ ალერგია, ასევე, თუ მტვრის მიმართ აქვს მემკვიდრეობით მიდრეკილება, მტვრით ზედმეტად გაჯერებულ გარემოში რეაგირება მყისიერი იქნება, ამიტომ უნდა მოერიდოთ ნესტიან, ან მტვრიან გარემოს, ქარიან ამინდში ეცადეთ არ გახვიდეთ ქუჩაში, მაქსიმალურად გაასუფთავეთ მტვრისგან საცხოვრებელ ადგილი, სახლში შემოუშვით მეტი მზის სხივი, ტანსაცმელი და თეთრეული ხშირად გაანიავეთ და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ჰიპოალერგული საბნები და ბალიშები, სადაც მტვრის ტკიპა ვერ მრავლდება.

საინტერესოა, რომ ახლახან გავრცელდა სპეციალური აეროზოლები, რომლებითაც ხდება რბილი ავეჯისა და საწოლის დამუშავება. ეს აეროზოლები სპობენ მტვრის ტკიპებს, აუვნებელყოფენ ცხოველის ბეწვის რეაქციებს ალერგიულ ადამიანებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ალერგია არის ისეთი სახის დაავადება, რომელიც სხვადასხვა ორგანიზმში ინდივიდუალურად ვლინდება, ამიტომ ადამიანი მაქსიმალურად უნდა იყოს დაკვირვებული, რა იწვევს მასში ალერგიულ რეაქციებს. უნდა ეცადონ, შეამცირონ ალერგიის გამომწვევ ფაქტორებთან შეხება, ჩაიტარონ სიმპტომური მკურნალობა და თუ ამის საშუალება არ არის, მიმართონ სპეციალურ ჰიპოსენსიბილიზაციას.

**– რა არის ჰიპოსენსიბილიზაცია?**

– ალერგენ-სპეციფიკური იმუნოთერაპია, იგივე ჰიპოსენსიბილიზაცია არის გარკვეული ალერგიული დაავადებების ეფექტური მკურნალობის მეთოდი. ამ მეთოდს მსოფლიოში იყენებენ 100 წელიწადზე მეტია, იგი სარგებლობს უსაფრთხოების მაღალი პროფილით, იძლევა კონკრეტულ ალერგენთან შეგუების შესაძლებლობას და კლინიკური სიმპტომების გაუმჯობესებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში და რაც მთავარია, იწვევს მედიკამენტების მოხმარების შემცირებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

ჰიპოსენსიბილიზაცია გამოიყენება ისეთი ალერგიული დაავადებების დროს, როგორიცაა: ბრონქული ასთმა, ალერგიული რინიტი ან კონიუნქტივიტი. როგორც ზემოთაც გითხარით, ექიმი არჩევს ინდივიდუალურად პაციენტისთვის განკუთვნილ სამკურნალო საშუალებას. დღესდღეობით სამკურნალო საშუალება, რომელიც გამოიყენება ჰიპოსენსიბილიზაციისთვის, დამზადებულია ისეთი ტექნოლოგიით, რომელიც რამდენიმე ალერგენთან ერთად იძლევა ეფექტური მკურნალობის საშუალებას, რაც საკმაოდ ბიუჯეტურს ხდის მკურნალობის კურსს და კარგ შედეგს იძლევა. ასე რომ, ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა. ყური უნდა დავუგდოთ ორგანიზმის ხმას, ის ყოველთვის შეგვატყობინებს, რა არის მისთვის სასარგებლო და რა საზიანო, მან ყოველთვის იცის, რა სურს.

ესაუბრა
**ირანდა კალანდაძე**

## ალცჰაიმერთან დაკავშირებული 16 ახალი გენი

**მეცნიერებმა ალცჰაიმერის დაავადების მთლიანი გენომის მიმოხილვის მრავალეთნიკური კვლევა ჩაატარეს, რის შედეგადაც 16 ახალი გენეტიკური მუტაცია აღმოაჩინეს, რომლებიც დაავადების რისკთან ასოცირდება. მათი აღმოჩენები ხელს უწყობს ალცჰაიმერის კვლევის გაფართოებას იმ ჯგუფებში, რომლებიც აქამდე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი.**

კვლევას ერთობლივად ხელმძღვანელობდნენ ჯულიან დენიელ სანდეი ვილეტი, მედიცინის დოქტორანტი და მოჰამედ ვაკასი, მასაჩუსეტის გენერალური საავადმყოფოს გენეტიკისა და დაბერების მკვლევარი.



მკვლევრებმა გაანალიზეს 49 149 ინდივიდის გენომის მონაცემები, რომელთაგან 12 074-ს ალცჰაიმერის დაავადება კლინიკურად ჰქონდა დიაგნოსტირებული, ხოლო 37 075-ს დაავადება ოჯახური ისტორიის საფუძველზე დაუდგინდა. კვლევები ჩატარდა საჯარო მონაცემთა ბაზის მიხედვით, ხოლო მონაწილეთა თითქმის ნახევარი არაევროპულ წარმომავლობას მიეკუთვნებოდა.

ახალი 16 გენეტიკური მუტაცია ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გენეტიკური კვლევების ჩატარება მრავალფეროვან პოპულაციებში.

**ერთხელ სოციალურ ქსელში ვნახე ლეგენდარული მსახიობისა და ფრანგული კინოხელოვნების დიდოსტატის, 86 წლის ალენ დელონის თვალცრემლიანი სურათი და მისი გამონათქვამი,— ჩემი ცხოვრება უკვე მიიწურა და მწუხარებით მინდა ვთქვა, ამ ბოლო დროს ყველაფერი შეიცვალა, ყველა ერთმანეთს ატყუებს, მეგობრობას ფასი დაეკარგა, ხალხი აგრესიული გახდა და ყველაფერი ფულს დაუკავშირდა, მხოლოდ ბინება და აღვირახსნილობა ისმის და ჩანს. სიყვარული დაკნინდა და უნდობლობა გამეფდა. როცა ჩემი დრო მოვა, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქვეყანას სინანულის გარეშე დავტოვებ.**



გურიელი და პაშა ხვინთელიანები

# ცრემლი სევდისა და მონატრებისა

**1995 წელს მოსკოვში გავიცანი მარიანი და დავუახლოვდით ერთმანეთს, გვერ საჭირბოროტო საქმეში დამეხმარა, (იცოდა რომ აფხაზეთიდან ვიყავი). ხშირად გვისაუბრია აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, ბევრჯერ გვიკამათია განსხვავებული აზრების გამო, დრომ თავისი გაიტანა და ჩვენს შორის ჩამოყალიბდა მეგობრობა. ჩვენი 28 წლიანი მეგობრობის განმავლობაში მარიანს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა. მე ვიცოდი, რომ იგი სამხედრო აკადემიის პროფესორი და ლექტორი იყო და აფხაზეთის ომში მონაწილეობა არ მიუღია.**

2002 წლის 2 სექტემბერს მე და მარიანი მყუდრო ადგილას შევხვდით ერთმანეთს რათა აღგვენიშნა მამაჩემის (გურიელი) გარდაცვალების დღე. ყველაფერი ჩვეულებისამებრ მიდიოდა, შესანდობარი, მოგონებები, ცოტა პოლიტიკა, ცოტა ლირიკა, ბოლოს მაინც აფხაზეთის ომის თემა შემოვიდა ჩვენს მშვიდ სუფრაზე. შემდეგ პაუზა ჩამოვარდა, რომლის დროსაც გამიცოცხლდა აფხაზეთში გატარებული ბავშვობისა და ყრმობის წუთები და დღეები. თავს ვერ მოვერიე და ყელში გაჩხერილი გორგლის მიუხედავად უეცრად გულიდან ამომსკდა სინანულის სიტყვები,— **მე ახლა აქ უნდა ვიყო და აფხაზეთში ჩემი საფიცარი მშობლების წმინდა საფლავებს პირუტყვი ტკეპნიდეს და აბინძურებდეს? ვაი რომ უძლური ვარ და არაფრის გაკეთება არ შემიძლია, — სიმწრისაგან თვალებზე ხელები ავიფარე და უმწეო ბავშვივით ავქვითინდი.**

მარიანის ჩახუტებამ გამომაფხიზლა, რომელიც ჩემს უკან იდგა და მამასავით მეფერებოდა.

— ჩემო ბესარიონ, სამ დღეში ჩემს ოფისში მომაკითხე, ვიღაცებს შევაწუხებ, ორ კვირაში დიპლომატიურ პასპორტს გაგიმზადებენ, რომლითაც ჩახვალ აფხაზეთში, სადაც დაგხვდება პრეზიდენტი ბაღაფში, გამოგიყოფს დაცვას, რომელიც მიგაცილებს მშობლების საფლავამდე!

კარგად მომისმინე, გთავაზობ ორ სცენარს, რომელთაგან არჩევანი შენი გასაკეთებელია.

**პირველი** — შენ მოაწესრიგებ მშობლების საფლავს, რაშიც დაგეხმარებიან შენი გამცილებლები და ასევე მოაწესრიგებენ სოფლის სასაფლაოს, გაწმენდენ, ღობეს შემოავლებენ, ჩაკეტავენ და რკინის ბანერზე წააწერენ, რომ ეს ობიექტი იმყოფება რუსეთის ფედერაციის დაცვის ქვეშ.

**მეორე,**— თუ მოისურვებ, შენი მშობლების ნაწილებს ამოასვენებენ და სოჭამდე ჩაგაცილებენ, საიდანაც შეგეძლება მათი გადასვენება სადაც მოისურვებ, ან საქართველოში ან მოსკოვში.

ამ სიტყვების გაგონებაზე ისე ავფორიაქდი, რომ ძლივსღა ვსუნთქავდი. ორიოდე წუთის განმავლობაში თვალწინ წარმომიდგა ჩემი ბავშვობა, რამაც მთლიანად შთანთქა ჩემი ცნობიერება. როცა გონს მოვეგე, უფროს მეგობარს მივმართე: გმადლობ მარიან, ჩვენ ხომ დიდი ხნის მეგობრები ვართ, მაგრამ ამიერიდან ჩათვალე, რომ შენ ჩემი უფროსი ძმა ხარ და ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სხვადასხვა დედ-მამის შვილები ვართ. ჩათვალე, რომ რაც თქვი, უკვე გაკეთებული გაქვს, რასაც სიცოცხლის ბოლომდე არ დავივიწყებ, მაგრამ შენს შემოთავაზებას ვერ მივიღებ სამი მიზეზის გამო.

**პირველი:** აფხაზეთში უამრავი ქართველის საფლავია უპატრონოდ დარჩენილი და მოუვლელი. მათ ჭირისუფლებს ისეთი ძმადნაფიცი რუსი გენერალი არ ჰყავთ, როგორიც მე. სწორად გამიგე, მე მინდა რომ მათ წინაშე მართალი ვიყო და თვალებში გამართულად ჩავხედო.

**მეორე:** რუსეთის საზღვრიდან აფხაზეთში მე ვერ გადავალ, რადგან ეს საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთას ნიშნავს, რაც ქართული კანონმდებლობით ისჯება.

**მესამე და მთავარი:** მწამს და მჯერა, რომ მალე დადგება დრო, როცა შენთან და ჩემს ქართველებთან ერთად მშვიდობიანად შევალთ აფხაზეთში, მივესიყვარულებით ჩვენი ახლობლების საფლავებს და ჩვენს აფხაზ ძმებთან ერთად ვიზრუნებთ საერთო მომავალზე.

**მწამს და მჯერა, რომ მალე დადგება დრო, როცა შენთან და ჩემს ქართველებთან ერთად მშვიდობიანად შევალთ აფხაზეთში, მივესიყვარულებით ჩვენი ახლობლების საფლავებს და ჩვენს აფხაზ ძმებთან ერთად ვიზრუნებთ საერთო მომავალზე.**

* * *

**2023 წელს, 30 აპრილს ანუ ჩვენი შეხვედრიდან ოცდაერთი წლის შემდეგ კვიპროსზე (ამ ეტაპზე იქ ვცხოვრობ), დამირეკა მარიანმა, რომელთანაც თითქმის ერთი საათი გულთბილად ვილაპარაკე, საუბრის დასასრულს მარიანმა მითხრა, — სამი დღით აფხაზეთში მივდივარ, გაგრაში, სადაც საქმეები გამომიჩნდა, რომელთაგან ერთი ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რადგან აფხცაზეთში პირველად მიწევს ჩასვლა, გთხოვ, გიდობა გამიწიო და დამაკვალიანო.**

**— თუ საიდუმლო არ არის, მარიან, გთხოვ , მითხრა რა საქმეებზეა საუბარი, — ვთხოვე მე.**

— ისეთი არაფერი, მიპასუხა მან, ორი პატარა საქმე აფხაზეთის თემატიკას ეხება, „დიდი საქმე“ კი შენი მშობლების საფლავთანაა დაკავშირებული, რომლებიც მინდა მოვილოცო, რისთვისაც შენი სოფლის მისამართი და სასაფლაოს ზუსტი ლოკაცია მჭირდება, რომლის გარეშე, ჩემი უმცროსი ძმის მშობლების განსასვენებელს ვერ მივაგნებ. მინდა, რომ მათ საფლავს მოვეფერო და ორ სექტემბერს შენს მიერ დაღვრილი წმინდა ცრემლების მხურვალება და სიყვარული გადავცე...

შოკში ჩავვარდი, ოცდაერთი წლის წინანდელი შეხვედრის დეტალები თვალწინ წარმომიდგა და სუნთქვა შემეკრა. არ ვიცოდი რა მეთქვა.

— ალო, ალო, მარიანის ხმამ გამომაფხიზლა. — მარიან, ძმაო, დამიჯერე, ამის გაკეთება არც თუ ისე იოლი იქნება, — ვუპასუხე ჩემს ძმადნაფიცს. ამდენი წლის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, სასაფლაო ველურ ტყედ იქნება გადაქცეული. ახლა ჩვენს სოფელში ორი-სამი სახლიღაა შემორჩენილი, ყოველ შემთხვევაში, „გუგლ მაპში“ ასე ჩანს, სხვა დანარჩენი გადამწვარი და მიწასთანაა გასწორებული. თანაც სადმე ნაღმი რომ ოყოს ჩამარხული, მაშინ როგორ შევხედო შენს ცოლს თვალებში?

— მაგაზე ძმაო, შენ არ იდარდო, ჩემი ცოლი ჩემთან ერთად მოდის და მისი სურვილია, ერთად მოვინახულოთ და მოვეფეროთ შენი მშობლების საფლავებს, — გენერლის რიხით მიპასუხა მარიანმა. — ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია, ამას ჩვენ შენი წმინდა ბავშვური ცრემლების გამო ვაკეთებთ, რათიც შენ, არა მარტო შენი, არამედ ყველა შვილის სახელით გამოხატე პატივისცემა და სიყვარული ყველა მშობლისა და მათ შორის ჩვენი მშობლების მიმართ! ასე რომ, შენგან ველოდები ლოკაციის დეტალებს, რისთვისაც ერთ კვირაში ისევ დაგირეკავ. ერთი კვირის თავზე მარიანმა დამირეკა და მისაყვედურა, რომ ვაგვიანებდი მისამართის გადაგზავნას. არადა, მე და ჩემი ძმის შვილი ვანო, დღე და ღამეს ვასწორებდით, რათა საფლავების ზუსტი ლოკაცია დაგვედგინა, მაგრამ რუკის შედგენამ, მისასვლელი გზების გარკვევამ, ძველი ვიდეო ჩანაწერების მოპოვებამ დრო წაიღო, რის გამოც დათქმულ ვადაში ვერ ჩავეტიეთ. როგორც იქნა, საქმე ბოლომდე მივიყვანეთ და მასალები მარიანს გადავუგზავნე იმ იმედით, რომ შორიდან მაინც ვიხილავდი მშობლების საფლავს.

**— ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!!!**

გუშინ, 2023 წლის პირველ მაისს, აფხაზეთის სოფელ ბალანის სასაფლაოდან უცნობი ნომრით დამირეკა მარიანმა და გახარებული ხმით მაუწყა: ძმაო ბესარიონ, მე და ელენა გახარებულები ვართ, დანაპირები შევასრულეთ და შენი მშობლების საფლავის მოსანახულებლად ჩამოვედით აფხაზეთში. ახლა, სოფელ ბალანის სასაფლაოზე ვართ და ჩვენს გიდთან გიორგისთან ერთად ვცდილობთ დავადგინოთ საფლავების ადგილმდებარეობა. გიორგი აღმოჩნდა აფხაზი ახალგაზრდა, რომელიც ადლერის აეროპორტიდან დაემგზავრა ჩემს ძმადნაფიცსა და მის მეუღლეს დ სიამოვნებით იკისრა მათი მეგზურობა.

ერთი საათის განმავლობაში ისინი შიშველი ხელებით იკაფავდნენ გზას გაუვალ ეკალ-ბარდებში და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ, რასაც მე კვიპროსიდან აფორიაქებული და გულშეძრული ვადევნებდი თვალს ჩემი სმარტფონის მეშვეობით. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა ძეძვნარში გამოჩნდა საფლავის ქვის ნატეხი, რომელზედაც ჩანდა „ანი“, სვანური გვარის სამი ბოლო ასო, რაც უტყუარად ადასტურებდა იმას, რომ აქ იყო ჩემი ერთ-ერთი მშობლის სამუდამო განსასვენებელი. გულმა რეჩხი მიყო, როცა გავიგონე მარიანის აღტაცებული შეძახილი, — ვნახეთ, ვნახეთ, ეს არის, აქ არის, რამაც არნახული შვება და სიხარული მომგვარა. თითქოს უზარმაზარი ლოდი მომწყდა ბეჭებიდან, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მამძიმებდა და სულს მიხუთავდა.

ოჰ, სევდავ და ცრემლებო!..

ორმოცი წუთის შემდეგ მარიანმა ხელახლა დამირეკა და ჩემი მშობლების საფლავების სურათები მაჩვენა, რომლებზედაც სახელდახელოდ გაწმენდილი, დროის მუხანათობისგან შემუსრული საფლავების ნაშთები მოჩანდნენ, რომლებიც მნახველში ტკივილისა და მიუსაფრობის გრძნობებს აღძრავდნენ. მიუხედავად ამისა, მე მაინც კმაყოფილი ვიყავი და თავს ბედნიერად ვგრძნობდი, რადგან დიდი ხნის შემდეგ, მომეცა შესაძლებლობა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების უკანასკნელი განსასვენებლის ნახვისა და შორიდან მათთვის მოფერებისა.

**უსაზღვროდ მადლიერი ვიყავი ჩემი ძმადნაფიცისა და მისი მეუღლისა, ასევე უცნობი აფხაზი ჭაბუკისა, (რომელმაც მიპასუხა — ეს ხომ წმინდა საქმეა!), რომლებმაც უშურველად, უანგაროდ გადადეს თავი და ამდენი წვალებისა და ჯაფის ფასად დამიბრუნეს მშობლების საფლავები.**

**მარიან, ელენა, გიორგი თქვენ სამუდამოდ დაიდეთ ბინა ჩემს გულში!!! როცა ემოციები ჩამიცხრება, იმედია მოვნახავ შესაბამის სიტყვებს!!! — მივწერე ჩემს კეთილისმყოფლებს, რომელთა ვალი სამარის კარამდე გამყვება.**

ალენ დელონისა არ იყოს, ცხოვრება მართლაც ძალიან შეიცვალა. დასანანია , რომ ადამიანები ასე გაუუცხოვდნენ ღმერთს, სამყაროს, საზოგადოებას, ერთმანეთს. სამწუხაროა, რომ ამდენი ბოროტება, ძალადობა, მწუხარება და უბედურება სუფევს დედამიწაზე, ჩვენს ულამაზეს პლანეტაზე, რომელსაც ისე უგულოდ და სასტიკად ვექცევით ადამიანები, რომ ლამის განადგურების პირას მივიყვანეთ. ამას ისევ ჩვენ ვაკეთებთ, ეს ისევ ჩვენი საქციელიდან და ცხოვრების უწესობიდან გამომდინარე ხდება, რაც სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს, თორემ დედამიწა დაიღუპება და მასთან ერთად განადგურდება ადამიანური ცივილიზაცია.

ერთადერთი გამოსავალი ამ ჩიხიდან არის სიყვარული!

**გვიყვარდეს ერთმანეთი და თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდეთ ერთმანეთს და დედაბუნებას, რაც სავსებით შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ვიცხოვრებთ და ვიმოქმედებთ ისე, როგორც მარიანი, ელენა და გიორგი. სანამ დედამიწაზე ასეთი ადამიანები იარსებებენ, კაცობრიობასა და ჩვენს ლამაზ პლანეტას ვერავითარი ბოროტება ვერ დაამარცხებს.**

**მალე, 20 აპრილს 2025 წლის ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა აღინიშნება!**

**ქრისტე აღდგა!!! ჭეშმარიტად აღდგა!!!**



სიყვარულით

**ბესარიონ ხვინთელიანი**

საქართველოს რესპუბლიკა

მედიათა მიჯნაზე



პაატა ნაცვლიშვილი

# ფეისბუქი-2024 რჩეული პოსტები



1 ივნისი, 2024

## მე კვლავაც წიგნზე ვზივარ

**დღეს, რა თქმა უნდა, წიგნის ფესტივალზე ვიყავი. საერთაშორისო ფესტივალზე. გუშინ გაიხსნა. გუშინ სად იყავიო, – ძველმა გამომცემლებმა მომისაკლისეს. წიგნის დანახვას ვეღარ ვიტან-მეთქი, – მწარედ ვიხუმრე.**

რომ არ მეგონა, იმდენი ხალხი დამხვდა „ექსპო ჯორჯიაში“. ჯენზის თაობის გოგო-ბიჭების სიმრავლემ სამომავლო იმედებით ამავსო. თითო და ორ-ორი წიგნი არა, მეტი მიჰქონდათ. ჩემი სტუდენტებიც ვნახე და ამან განსაკუთრებით გამახარა.

არ ვიცი, ეს მერამდენე წიგნის ფესტივალია თბილისში, ის კი ვიცი, რომ ყველას მონაწილე ვარ – დღეს უკვე როგორც მუდმივი სტუმარი, თავიდან კი როგორც ამ ფესტივალების ერთ-ერთი მასპინძელი და მონაწილე. ამ 30 წლის წინათ ფესტივალი საერთაშორისო არ იყო და ფილარმონიის ფოიეში იმართებოდა, სურათების გალერეაშიც გამართულა. მაშინ საქართველოში სულ რამდენიმე კერძო გამომცემლობა იყო. მათ შორის – ერთ-ერთი პირველი „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა“, რომელიც 1993 წელს დავაფუძნე.

სახელი ჩემს გამომცემლობას ფლამარიონისა და საბაშნიკოვის ანალოგიით დავარქვი. გვარს, რა თქმა უნდა არა, სახელობითობას ვგულისხმობ. „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა“ სულ-სულ პირველი სახელობითი გამომცემლობა იყო საქართველოში. მერე და მერე წამოვიდნენ: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, „ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა“, „ქარჩხაძის გამომცემლობა“, „ამონაშვილის საგამომცემლო სახლი“, „ზვიად კორძაძის გამომცემლობა“, „ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა“...

ბაკურ სულაკაური ამათგან პირველი იყო, თქვა კიდევაც ერთ-ერთ ინტერვიუში, პაატა ნაცვლიშვილის მიბაძვით დავარქვი ეს სახელიო. ბაკურმა იმთავითვე დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ დღეს ქართული საგამომცემლო საქმე ბევრ ჩვენზე დიდ ქვეყანას შეშურდება. სწორედ ბაკურთან ერთად დავწერე მაშინ საკმაოდ ხმაურიანი საგაზეთო წერილი, „როგორ დავეწიოთ კოლუმბიას ანუ რა მანძილია უწიგნობიდან უწიგნურობამდე“, რომელიც „დილის გაზეთში“ დაიბეჭდა 1998 წლის 10 აპრილს.

ორიოდე ფრაგმენტი მინდა გავიხსენო იმ პუბლიკაციიდან:

„დასამალი არ არის და ვეღარც ვეღარავინ მალავს. დღეს საქართველო უწიგნოთა ქვეყანაა. ორ-სამწლიან საგამომცემლო ბუმს ჩვენში ამ საქმის ღრმა და ხანგრძლივი კრიზისი მოჰყვა. დღესდღეობით, საყოველთაოდ და ამაყად დეკლარირებული სტაბილიზაციის პირობებში, ეს კრიზისიც სტაბილიზებულია და თუ დროზე არ ვიღონეთ რამე, ერთ დროს ყველაზე წიგნიერი ერი ყველაზე უწიგნურ ერად იქცევა მსოფლიოში... არაერთხელ ითქვა და დაიწერა: ქართული წიგნის საქმე დაღუპვის პირასაა მისული. ქართველ მკითხველს მხოლოდ პირობითადღა ჰქვია მკითხველი, მშობლებს შვილებისათვის სკოლის სახელმძღვანელოების შეძენაც კი ვერ მოუხერხებიათ. წლების განმავლობაში საქართველოს ბიბლიოთეკებში არ შესულა ახალი გამოცემები, წიგნის მაღაზიები კი თავს არყისა და საღეჭი რეზინის გაყიდვით ირჩენენ.“

და რა შუაშია კოლუმბია?

აი, ისევ ფრაგმენტი იმ წერილიდან:

„კოლუმბიას როგორც ქვეყანას, რამდენიმე საერთაშორისო ფუნქცია აქვს: ბრაზილიის შემდეგ მას მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში ყავის წარმოებით და მეექვსე – ბანანის ექსპორტით. გარდა ამისა, კოლუმბია პირველია ზურმუხტის ამოღებით და მესამე – პლატინის მოპოვებით. ამასთან, კოლუმბია ცნობილია, როგორც ნარკობიზნესის მსოფლიო ცენტრი და ლიდერი. ასეთი ოფიციალური თუ იატაკქვეშა ფუნქციების მქონე ქვეყანას, ბუნებრივია, დიდად აღარ სჭირდება სხვა დარგებში ლიდერობა, მით უმეტეს ისეთ სფეროში, როგორიც წიგნის გამოცემაა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კოლუმბია, როგორც ესპანურენოვანი ქვეყანა, იოლას გავა ესპანეთში, არგენტინაში, მექსიკაში, ჩილეში, ვენესუელაში, პერუში თუ ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში გამოცემული ლიტერატურითაც, მაგრამ – და ეს ალბათ მოულოდნელი იქნება ბევრისათვის, – კოლუმბია, ვთქვათ, ზიმბაბვესთან ან იმავე რუსეთთან ერთად მსოფლიო საგამომცემლო ბიზნესის ნამდვილი სამოთხეა!.. ქვეყანაში, სადაც წიგნიერი მოსახლეობა ნაკლებია, ვიდრე საქართველოში, ყოველწლიურად 1800-მდე დასახელების წიგნი გამოდის, ოთხჯერ მეტი, ვიდრე საქართველოში... თავისთავად იბადება აქტუალური დასკვნა: კოლუმბიას ნარკობიზნესში კი არა, საგამომცემლო ბიზნესში უნდა გავეჯიბროთ“...

ნარკობიზნესისა და საგამომცემლო ბიზნესის ერთგვარ გაგრძელებად ჩანს ჩემი სხვა პუბლიკაციის სათაური, რომელიც გაზეთ „ბიბლიოთეკაში“ დაიბეჭდა 2003 წლის ივნისში, მაშინ გამართულ თბილისის წიგნის მე-5 ფესტივალს ეძღვნებოდა და ძალიან ნარკომანული სახელი ჰქონდა: „მე წიგნზე ვზივარ“.

ამ მეორე პუბლიკაციას ხვალ გავიხსენებ თავისი სომხეთით, მანონ მინაშვილითა და ციგნური სლოგანითა, ახლა კი იმ დროს დავუბრუნდები, როცა ქართული საგამომცემლო საქმე სულს ღაფავდა.

მე არ ვიცი, რა მდგომარეობაშია ახლა კოლუმბიის საგამომცემლო საქმე, არ მიძებნია ახალი ციფრები, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საქართველოში არათუ თითქმის ყველაფერია თარგმნილი დიდი კოლუმბიელის მრავალფეროვანი შემოქმედებიდან, არამედ მისი წიგნები მეორე და მესამე და მეოთხე გამოცემებსაც უძლებენ. და ეს მხოლოდ მარკესს როდი ეხება. საგამომცემლო საქმე საქართველოში ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ კარგი იქნება თუ სხვა დარგებს მისი წყალი გადაესხმებათ. განსხვავებით კოლუმბიისაგან ეს ჩვენში სახელმწიფოს პროტექციის შედეგი არ ყოფილა, სახელმწიფოსაგან გამომცემლებს დიდი არაფერი დახმარება არ მიგვიღია, პირიქით, კი – ხელის შეშლა ბევრი ყოფილა. თუ ჩვენში ეს საქმე ასე აყვავდა, უცხოური ფონდებისა და მცირერიცხოვან ენთუზიასტთა თუ მათ გარშემო შემოკრებილ თანამოაზრეთა დამსახურებაა. მიხარია, რომ იმ პირველ გამომცემელთა შორის საწყის ეტაპზე მეც ვიყავი და ჩემი ერთადერთი თანამოაზრე ჩემი კომპიუტერი იყო. მერე და მერე, რაკი დავინახე, რომ საგამომცემლო ბიზნესი უჩემოდაც დევის ნაბიჯებით მიდიოდა წინ, ნელ-ნელა ჩამოვშორდი ამ საქმეს, და დღეს მხოლოდ ხანდახან თუ გამოვცემ ხოლმე ჩემსავე წიგნებს. ახლაც „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა“ ისევ მე და ჩემი კომპიუტერი ვართ, მეტი არაფერი. თუმცა კომპიუტერი უკვე სხვაა.

მაშინ კი, როცა კოლუმბიის საგამომცემლო საქმე გაბრიელ გარსიასავით მიუწვდომელ სიმაღლედ გვეჩვენებოდა, ბაკურ სულაკაური იმ პირველ ენთუზიასტთა მიერ შექმნილი „დიოგენეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. ჯერ არ ვიცნობდი და ერთ მშვენიერ დღეს გამომცემლობა „დიოგენესგან“ წერილი მივიღე – მუშაობას იწყებდნენ პროექტზე „ვინ ვინაა საქართველოში“ და პირველი წიგნისთვის 500 ადამიანს კითხვარი გაუგზავნეს. მეც აღმოვჩნდი იმ ხუთასში და იმ პროექტის ყველა გამოცემაშიც მოვხვდი.

მერე და მერე ბაკურ სულაკაურს სხვებიც ამოუდგნენ მხარში – „ინტელექტი“, „არტანუჯი“, „პალიტრა L“, „აზრი“, „ბაკმი“, „სიესტა“... ისინი „დიოგენესთან“ და „სულაკაურის გამომცემლობასთან“ ერთად დღევანდელი ქართული საგამომცემლო საქმის მეთაურები არიან. ბაკური კი შეეშვა საგამომცემლო საქმეს, მაგრამ „სულაკაურის“ სახელი კი დატოვა. ხოლო ის „დიოგენე“ – ახალი ქართული საგამომცემლო საქმის პიონერი – კვლავაც ამ სფეროს ერთ-ერთი ლიდერი და მას კვლავაც მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი თამარ ლებანიძე ხელმძღვანელობს, რომელიც დღეს ამავე დროს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ბორდის თავმჯდომარეა.

რაც მაშინ, როცა კოლუმბიას ვეტოლებოდით, რაც საქართველოში წიგნი გამოდიოდა წელიწადში, ყველას ვყიდულობდი და მათი რაოდენობა სამი-ოთხი თაროსაც ვერ ავსებდა. ბოლო ფესტივალების განმავლობაში კი, რაც ძალიან მჭირდება ან რაც ძალიან მომწონს, იმის მეათედსაც ვეღარ ვყიდულობ და მაინც შინ მიტანილს მთელ სტელაჟიც აღარ ჰყოფნის.

ამჯერად რა და როგორ მოვიტანე სახლში ხვალ გიამბობთ, იმას კი ახლავე გეტყვით, რომ ფესტივალზე ორი ჩემი წიგნიც იყიდება: „ამოცანები და გამოცანები გიორგი ნიკოლაძისა“ და „სიკვდილი და სიცოცხლე ვიქტორ სანეევისა“. სულ რამდენიმე დღეა, ისინი სტამბიდან გამოვიდა და ჯერ საავტორო ეგზემპლარებიც არ მიმიღია. ეს წიგნები ნაწილია „არტანუჯის“ ახალი საგამომცემლო პროექტისა „ლეგენდები“, რომლის ავტორია ბუბა კუდავა. „ლეგენდებში“ აქ „სპორტის ლეგენდები“ იგულისხმება. პირველ სერიაში ცხრა წიგნია გამოსული ცხრა ლეგენდარულ სპორტსმენზე: დავით ყიფიანი, ლიონელ მესი, ვიქტორ სანეევი, ჯანლუიჯი ბუფონი, გიორგი ნიკოლაძე, პეპ გვარდიოლა, ალესანდრო დელ პიერო, ოთარ ქორქია, რონალდო.

ვიკითხე, როგორ იყიდება-მეთქი და არც სხვაზე უკეთ და არც სხვაზე უარესადო. ჯერ არ გაუგიათ ამ ახალი სერიის არსებობა და იმიტომ-მეთქი. წიგნის მოყვარულებმა იციან – სერიას სხვა ფასი აქვს. და შეიძლება გიორგი ნიკოლაძე, ვიქტორ სანეევი ან ოთარ ქორქია რომელიმე მკითხველს ლიონელ მესიზე ან დავით ყიფიანზე ნაკლებად უყვარდეს და იცოდეს, მაგრამ სერია – სერიაა! ფეხბურთი მეც სპორტის ყველა სხვა სახეობაზე მეტად მიყვარს, მაგრამ ლეგენდები ლეგენდები არიან სპორტის ნებისმიერ სახეობაში. ამ ფოტოზე ცხრავე წიგნი არ დაეტია...

# პერსი ჯულიანი – ქიმიკოსი, რომელმაც მედიცინა შეცვალა და უამრავი სიცოცხლე იხსნა

**პერსი ლავონ ჯულიანი ნოვატორი ამერიკელი ქიმიკოსი გახლდათ, რომელმაც წამლების წარმოებაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. მისმა საქმიანობამ სიცოცხლისთვის აუცილებელი წამლები უფრო ხელმისაწვდომად აქცია. მიუხედავად უკიდურესი რასობრივი დისკრიმინაციისა, ის მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქიმიკოსი გახდა.**

ჯულიანი აშშ-ის სამხრეთში, მონტგომერიში გაიზარდა, სადაც ფერადკანიან სტუდენტებს განათლების შესაძლებლობები შეზღუდული ჰქონდათ. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ის აკადემიურობით გამოირჩეოდა და ინდიანას უნივერსიტეტში მიიღეს.

სხვა ფერადკანიანი სტუდენტების მსგავსად, ჯულიანი ყველა მხრიდან რასიზმის მსხვერპლი იყო. მას არ აძლევდნენ კამპუსში ცხოვრების უფლებას და იმ ადგილისთვისაც კი უწევდა ბრძოლა, სადაც საჭმელი უნდა ეჭამა. მწვავე პრობლემების მიუხედავად, მან მაინც დაამთავრა სწავლა და დოქტორის ხარისხიც მიიღო ქიმიაში.

ჯულიანმა უდიდესი წვლილი შეიტანა ორგანულ ქიმიაში, როცა მან შეიმუშავა ეფექტური გზები მცენარეული ნაერთებისგან მნიშვნელოვანი მედიკამენტების სინთეზისთვის. მისმა აღმოჩენებმა, ფაქტობრივად, გარდაქმნა მედიცინა, განსაკუთრებით კი, შემდეგ სფეროებში:

**კორტიზონი და სტეროიდები:** ჯულიანმა შეიმუშავა სინთეზური კორტიზონის მასიური წარმოების მეთოდი, რაც მას ხელმისაწვდომს ხდიდა ართრიტის მქონე პაციენტებისთვის. მანამდე კორტიზონი ძალიან ძვირი და ძნელად მოსაპოვებელი იყო.



**ჩასახვის კონტროლი და ჰორმონები:** პროგესტერონისა და ტესტოსტერონის წარმოებაში პერსი ლავონ ჯულიანის მიერ ჩატარებული კვლევები გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩასახვის კონტროლისა და ჰორმონალური თერაპიის შემუშავებაში.

**გლაუკომის მკურნალობა:** მან შექმნა გაუმჯობესებული მეთოდი ფიზოსტიგმინის წარმოებისთვის – პრეპარატის, რომელიც გლაუკომის სამკურნალოდ გამოიყენება და მას ფართოდ ხელმისაწვდომს ხდის.

მიუხედავად წარმატებისა, ჯულიანი მთელი კარიერის განმავლობაში რასიზმს აწყდებოდა. ბევრმა უნივერსიტეტმა უარი თქვა მის დაქირავებაზე რასობრივი თვალსაზრისის გამო. თეთრკანიანების უბანში მდებარე ფერადკანიანი მეცნიერის სახლს დინამიტით დაესხნენ თავს.

თუმცა, ჯულიანმა ყველაფერს გაუძლო და გახდა პირველი ფერადკანიანი მეცნიერი, რომელიც მსხვილმა ამერიკულმა კომპანიამ კვლევების ხელმძღვანელად დაიქირავა.

მოგვიანებით, მან დააარსა საკუთარი ფარმაცევტული კომპანია, რითაც კიდევ უფრო მეტად დაამტკიცა, რომ მეცნიერულ ნიჭს რასობრივი ბარიერების გარღვევა შეუძლია.

ჯულიანის საქმიანობამ გადაარჩინა უამრავი სიცოცხლე და გზა გაუხსნა ფერადკანიანი მეცნიერების მომავალ თაობებს. ამ მიღწევებმა მას მრავალი ჯილდო მოუტანა, მათ შორის, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში არჩევა, რაც ერთ-ერთ უმაღლეს ჯილდოს თავად წარმოადგენდა.

https://kvira.ge.

# „ბაკურიანი 2025“-ის ვერცხლის მონეტები

**საქართველოს ეროვნული ბანკი ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის, „ბაკურიანი 2025“-ის თემაზე საკოლექციო დანიშნულების მონეტის რეალიზაციას იწყებს.**

სებ-ის ცნობით, მონეტის სარეალიზაციო ფასი 110 ლარია.

**„მონეტების რეალიზაცია 2025 წლის 10 მარტს, 10:00 საათიდან ელექტრონულ პლატფორმაზე – www.tkt.ge-ზე და საქართველოს ეროვნული ბანკის სალაროებიდან მოხდება.**

2025 წლის 13 მარტიდან, მონეტის სარეალიზაციო მარაგის არსებობის შემთხვევაში, მისი რეალიზაცია, სალაროების პარალელურად, გაგრძელდება სებ-ის ფულის მუზეუმის ინტერნეტმაღაზიიდანაც. იმისთვის, რომ მონეტის შეძენა შეძლოს მაქსიმალურად ბევრმა დაინტერესებულმა პირმა, რეალიზაციის დაწყებიდან პირველი 5 დღის განმავლობაში ერთ მომხმარებელს შეეძლება, შეიძინოს მხოლოდ ერთი ცალი მონეტა.

მონეტის დიზაინის ესკიზი „ბაკურიანი 2025“-ის საორგანიზაციო კომიტეტთან თანამშრომლობით მომზადდა, ხოლო მონეტები პოლონეთის ზარაფხანაში 5,000-იანი ტირაჟით მოიჭრა.




მონეტის ავერსზე გამოსახულია მოთხილამურე და ნომინალის დასახელება „5 ლარი“ (ფერადი დეტალები) დათოვლილი მთის ფონზე. კიდეზე რკალისებურად დატანილია მოვლენის აღმნიშვნელი წარწერები „ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი“ და „ბაკურიანი 2025“, ერთმანეთისგან გამოყოფილი ფიფქებით. მონეტის რევერსზე გამოსახულია ფესტივალის ლოგო (ფერადი დეტალი) დათოვლილი მთის ფონზე და წარწერა „საქართველო“, „Georgia“, რომელთა შორის დატანილია ფიფქები. საქართველოს ეროვნული ბანკი მადლობას უხდის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის, „ბაკურიანი 2025“-ის საორგანიზაციო კომიტეტს ინიციატივისა და მონეტის დიზაინის ესკიზის მოწოდებისათვის“.




# სრული კვოტით

**21-23 მარტს ძიუდოში თბილისის გრანდ სლემი გათამაშდება. აღნიშნულ ტურნირზე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლაშა გუჯეჯიანმა გუნდის შემადგენლობა დაასახელა.**

**60 კგ.** – ჯაბა პაპინაშვილი, ნიკა ხუზაურაშვილი, თორნიკე მაზიაშვილი, ამირან დარბაისელი.

**66 კგ.** – თემურ ნოზაძე, ლაშა ნადირაძე, ხვიჩა გაფრინდაშვილი, ლუკა საგანელიძე.

**73 კგ.** – ლაშა შავდათუაშვილი, მიხეილ ბახბახაშვილი, ბაგრატ ნინიაშვილი, გიორგი ჩიხელიძე.

**81 კგ.** – ზაურ დვალაშვილი, კოტე კაპანაძე, ვლადიმერ ახალკაცი, ირაკლი ბეროშვილი.

**90 კგ.** – ლაშა ბექაური, ლუკა მაისურაძე, თამაზ კობერიძე, ნიკა ხარაზიშვილი.

**100 კგ.** – ილია სულამანიძე, ნიკოლოზ ზაალიშვილი, იმედა გოგოლაძე, ისლამ წინწალაშვილი.

**+100 კგ.** – გურამ თუშიშვილი, საბა ინანეიშვილი, ირაკლი დემეტრაშვილი, გაბო მუკბანიანი.

გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრები ჯამში 28 ძიუდოისტით წარდგება თბილისის გრანდ სლემზე, რადგან ტურნირის მასპინძელია და უფლება აქვს თითო წონაში 4 წარმომადგენელი ჰყავდეს.

შეგახსენებთ, რომ შარშან საქართველოს 48 ძიუდოისტი ჰყავდა და გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა, პირად ტურნირში კი ოქროს მედლების მოპოვება ლაშა ბექაურმა, ლაშა შავდათუაშვილმა, ეთერ ლიპარტელიანმა და გურამ თუშიშვილმა მოახერხეს.

# მფრინავი კვარა




**ხვალ ენფილდზე სარევანშო ჯახია: ლივერპული – პარი სენ-ჟერმენი, რომელსაც მეტოქენი წარმატებით დასრულებული გენერალური რეპეტიციით ხვდებიან – მასპინძლებმა მორიგი ნაბიჯი პრემიერლიგის მონარქობისკენ შინ აუტსაიდერ საუთჰემპტონთან გასეირნებით გადადგეს – 3:1, ლუის ენრიკეს გუნდმა კი ლიგა – 1-ის ტიტულისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გასვლითი სპექტაკლის დადგმით გადადგა რენთან – 4:1.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ესპანელმა სპეციალისტმა საკუთარ ლიდერთა უმეტესობას შეღავათი მისცა და ბრძოლაში მხოლოდ ბოლო ნახევარი საათით ჩააბა, თუმცა შოუს მოსაწყობად ეს მცირედი დროც საკმარისი აღმოჩნდა. ჩვენ, ბუნებრივია, განსაკუთრებით **ხვიჩა კვარაცხელიას** აკრეფილი კონდიციები გვახარებს, რომელიც შეტევაშიც დაფრინავს და დაცვაშიც სამაგალითოდ ეხმარება პარტნიორებს. ამჯერად კვარამ ერთ-ერთი საგოლე კომბინაცია წამოიწყო, ხოლო დემბელემ დუბლი კი შეასრულა, მაგრამ ხვიჩას ასისტენტობა წყალში ჩაუყარა.

სამწუხაროდ, გარდაუვალი კრიზისი დაეწყო **გიორგი მამარდაშვილს,** რომელმაც მორიგი უხეში შეცდომით ლა ლიგის მაჩანჩალა ვალიადოლიდს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, თუმცა ვალენსიამ მაინც შეძლო მატჩის მოგება – 2:1 და სახიფათო ზონას თავი დააღწია. ვიმედოვნებთ, მამარდა მალე დაძლევს ჩავარდნას.

# სასროლეთის მოლოდინში

**უკვე გაუწყეთ ქართველ ტყვიის მსროლელთა ტრიუმფის შესახებ, რომლებმაც ხორვატულ ოსიეკში გამართული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გუნდური ჩათვლაც მოიგეს და პირად ტურნირშიც დაახვავეს ტიტულების კოლექცია.**

სიამაყით გატყობინებთ, რომ ჯვაროსნებმა ფორუმის ფინიშზეც დააგუგუნეს სახელმწიფო ჰიმნი და ეს, უკვე მესამედ აღნიშნულ ასპარეზობაზე, მარიამ აბრამიშვილის მიღწევის პატივსაცემად მოხდა, სულ კი ჩვენებურთა მონაგარი 4 ოქრომდე და 1 ბრინჯაომდე გაიზარდა.

ასეთი მსუყე წარმატების ფონზე კონტრასტულად გამოიყურება ის ფაქტი, რომ ნინო სალუქვაძის სამშობლოში ჯერაც სასროლეთის გარეშე ფრთიანდებიან მომავლის ბარტყები.

მაშინ, როცა ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის აშენება-დამშვენების ბუმია, მსგავსი ფაქტი, დაგვეთანხმებით, ანაქრონიზმს წარმოადგენს. გატეხეთ ნავსი, ბატონებო!







# ჭაობის სურნელი

**ლუკა ბანკიმ სეზონი ვირტუსის თავკაცობით დაიწყო, დღეს კი ეფესს ავარჯიშებს და ევროლიგის მორიგ ტურში სწორედ ძველ კლუბს დაუხვდა.**

მართალია, საბოლოოდ თურქებმა სოლიდური უპირატესობით გაიმარჯვეს – 89:68, მაგრამ პირველი ტაიმი დათმეს – 39:42, რაშიც, ტრადიციისამებრ, ღირსეული წვლილი სტუმართა ქართველმა ლიდერმა **თორნიკე შენგელიამ** შეიტანა – 17 ქულა, 5 მოხსნა, 3 პასი. მოკლედ, ქართველის ძალისხმევის მიუხედავად, იტალიელთა ვარდნა გრძელდება და საშველი არ ჩანს.

# 24 მაისს 90 წელი შესრულდება...



**დღემდე დამკვიდრებული ვერსიით, ქართული რაგბის ისტორია 1959 წლის 15 ოქტომბრიდან იწყება, როცა ფრანგმა ემიგრანტმა ჟაკ ასვეკიანმა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პირველი ქართული სარაგბო კლუბი დააფუძნა, თუმცა კვლევით დასტურდება, რომ მას უფრო ძველი ფესვები აქვს.**

გაზეთ „ლელოს“ წინამორბედის **„საქართველოს ფიზკულტურელის” 1935 წლის 31 მაისის მე-15 (43)** ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია, რომ **24 მაისს ამიერკავკასიაში პირველად ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება რეგბიში (ამერიკული ფეხბურთი).** ეს პირველი შეხვედრა ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის პირველ და მეორე გუნდებს შორის წარიმართა საინტერესოდ. მატჩი მეორე გუნდმა მოიგო.

**1935 წლის 1 ივლისის** გაზეთ **„საქართველოს ფიზკულტურელის“ მე-19 ნომრიდან** ვიგებთ, რომ ლავრენტი ბერიას სახელობის ტფილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის სპორტთამაშობათა სექციაში **რეგბის (ამერიკული ფეხბურთი) 2 გუნდი ჩამოყალიბდა.**

თბილისში რუსულ ენაზე გამომავალ ჟურნალ **„ფიზკულტურნიკ ზაკავკაზიის“** 1935 წლის გაერთიანებულ მეთოთხმეტე-მეხუთე ნომრებში გამოქვეყნებულია **ქართველ მორაგბეთა თამაშის მომენტის ფოტო**.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ საქართველოს სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მასალებში მივაკვლიეთ **1935 წლის** ფ. კ. მოძრაობის შემაჯამებელ ანგარიშს (ფორმა **N**2), რომელიც დაწვრილებით აღნუსხავს სასპორტო სექციებში გაერთიანებულ სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა რაოდენობას **(ფონდი 1744, ანაწერი 1, საქმე N8, გვ. 40).** ანგარიშში ცალ-ცალკე გრაფა აქვს დათმობილი სპორტის სახეობებს, მათ შორის – **რეგბის,** რომელშიც, ამ ცნობის მიხედვით (იხ. **N**4), 180 მოსწავლე ვარჯიშობდა.

გასული საუკუნის 30-იანი წლების პრესაში არის ინფორმაციები რეგბის შესახებ, კერძოდ, სსრკ ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა, 1936 წლის აპრილში ტფილისში მოაწყოს რეგბის მოკლევადიანი საკავშირო სკოლა (**„საქართველოს ფიზკულტურელი“, 1935 წლის 28 ოქტომბერი, N29-30**); სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტი მოსკოვში რეგბიში სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას ატარებს... თბილისიდან შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად გამოყოფილია **ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტი დვალი,** რომელიც მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში რეგბისტების გუნდების ორგანიზებით დაკავდება (**„ფიზკულტურელი“, 1937 წლის 16 მაისი, N39 (163).**

1940 წლისთვის რეგბისადმი, როგორც ბურჟუაზული სპორტის სახეობისადმი, ინტერესი დაიკარგა, თუმცა 50-იანი წლებიდან ისევ იწყებს აღორძინებას.

ზემოთაც აღინიშნა, რომ რეგბიმ ჩვენთან 1959 წლიდან გაიდგა ღრმად ფესვები, მაგრამ ჩვენ მიერ აღმოჩენილი საბუთები, ვფიქრობ, იმის საფუძველს იძლევა, რომ საქართველოში რაგბის დაბადების თარიღად **1935 წლის 24 მაისი** მივიჩნიოთ!

**ვაჟა დანელია**


1935

სსრკ ფ. კ. უ. ს.
В. С. Ф. К. СССР

СВЕДЕНИЙ ОТЧЕТ ПО ДЕТСКОМУ САМОДЕЯТЕЛЬНОМУ Ф.К. ДВИЖЕНИЮ

Республика С.С.Р. Грузия

1 Всего детских ф. к. кружков 136
Из них вошло в сводку 146
40

2 В них членов 12.294 (12.790)
В том числе всельск. местности 3.680 (3993)

3 Число кружков, имеющих платных работников по ф. к. 141
В них платных работников 141

4 12.294

4.969 2458 5552 4304 6168 1402 10.419 6.222

15.438 4220 4398 1012 1896 2.953 180 94 30

# სითბური დარტყმების ეპოქა

## ! ამ საუკუნეში დედამიწაზე გასამმაგდება ადამიანის საცხოვრებლად ზედმეტად ცხელი ადგილების რაოდენობა!

**თუკი შევძლებთ, რომ პარიზის შეთანხმებით დადგენილ კლიმატურ სამიზნეს მივაღწიეთ, ვიცხოვრებთ მსოფლიოში, რომელიც ამ საუკუნის ბოლოს საშუალოდ ორი გრადუსი ცელსიუსით უფრო ცხელი იქნება, ვიდრე ინდუსტრიამდელ პერიოდში იყო; და ამ შემთხვევაშიც კი, პლანეტაზე შეცოტავდება კომფორტული ცხოვრებისთვის ხელსაყრელი ადგილების რაოდენობა.**

**ოკეანის ზედაპირი ახლა 400%-ით სწრაფად თბება, ვიდრე 1980-იან წლებში. გლობალურმა საშუალო ტემპერატურამ ინდუსტრიალიზაციამდელ მაჩვენებელთან შედარებით უკვე 1,5°C-ით მოიმატა. ამ საზარელ ნიშნულს შარშან მივაღწიეთ.**



**მეცნიერთა ცნობით, გლობალურ საშუალო მაჩვენებელზე დამატებით 0.5°C-ის დამატებით, პლანეტაზე გასამმაგდება ხმელეთის იმ ზონების რაოდენობა, რომლებიც ზედმეტად ცხელი იქნება ჯანმრთელი ზრდასრული ადამიანის საცხოვრებლადაც კი. ეს დაახლოებით შეერთებული შტატების ზომის ხმელეთის მასას უდრის.**

60 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის, რომელთა სხეულიც უფრო მოწყვლადია ექსტრემალური სიცხეებისადმი, სახიფათო ზონა დედამიწის ხმელეთის 35 პროცენტი იქნება; დღეს ეს მაჩვენებელი 21 პროცენტია.

ამისათვის მომზადებაა საჭირო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს პროგნოზები გლობალური დათბობის უფრო მსუბუქი უკიდურესობის სცენარებშია მოქცეული.

ექსტრემალური ამინდი მომდევნო 20 წელიწადში ადამიანთა 70 პროცენტს შეეხება.

**„ჩვენი კვლევა აჩვენებს პოტენციურად მომაკვდინებელ შედეგებს, თუკი გლობალური დათბობა 2°C-ს მიაღწევს. ინდუსტრიალიზაციამდელ მაჩვენებელთან შედარებით 4°C-ით დათბობა გავლენას იქონიებს გლობალური ხმელეთის დაახლოებით 40 პროცენტზე მხოლოდ ზედა განედებში; შუა განედების ცივი რეგიონები კი ხელუხლებელი დარჩება“,** – ამბობს ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის კლიმატის მეცნიერი **ტომ მეთიუსი.**

ჯანმრთელ სხეულს ძალიან ბევრ რამესთან გამკლავება შეუძლია, მაგრამ სინამდვილეში, „გამკლავება“, საკმაოდ ბევრ რამეს ნიშნავს. სიცხისგან ოფლში ცურაობა და ამის გამო უძილობა ნამდვილად არ მოგვკლავს, მაგრამ ასეთ გარემოში ყველაფერი კარგად ნამდვილად ვერ იქნება.

ამას გარდა, არის „აუნაზღაურებელი“ სიცხეც, როდესაც თქვენს სხეულში უფრო მეტი სითბო შედის, ვიდრე მის შიდა მექანიზმს შეუძლია შიდა ტემპერატურის დასტაბილურება. ამ პრობლემას აწყდებიან ადამიანები ექსტრემალურ პირობებში, რასაც ხშირად აუარესებს პირადი დაცვის აღჭურვილობა – მაგალითად, მეხანძრეები და ათლეტები. თუმცა, ასეთი რამ სულ უფრო გახშირდა სითბური ტალღების დროს, განსაკუთრებით, ეკვატორის მიმდებარედ.

**2024 წელი ყველაზე ცხელი იყო აღრიცხულთა შორის.**

იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობთ, ასეთი რამ შეიძლება უკვე გამოგიცდიათ კიდეც. ბოლო წლებში, სპარსეთის ყურის, ინდ-განგის დაბლობის, აშშ-ის სამხრეთის, მექსიკისა და ავსტრალიის რეგიონებმა ექსტრემალური სითბური მოვლენები გადაიტანეს, რისი ატანაც ახალგაზრდა ადამიანებსაც კი გაუჭირდათ.

არსებობს ე. წ. გადაურჩენელი სიცხეც, რომელიც საკმარისია, რათა ადამიანი მოკლას. ამ კვლევაში განსაზღვრეს, რომ ამ დროს, სხეულის ნორმალური ტემპერატურა, ანუ დაახლოებით 37°C, სულ რაღაც ექვს საათში ან უფრო ნაკლებში აღწევს 42°C-ს. ინდუსტრიალიზაციამდელ მაჩვენებელთან შედარებით 2°C-ით მომატების შემთხვევაში, ზოგიერთ ადგილას დაირღვევა ის ზღვრები, რომლის იქითაც 60 წელს გადაცილებული ადამიანები ვერ გადარჩებიან.

თუ გაგრძელდა წიაღისეული საწვავის წვა და ატმოსფერული ნახშირბადის შთანმთქმელ ეკოსისტემათა რღვევა, აჩქარდება გლობალური დათბობა და შესაბამისად, 2°C-იანი სამიზნეც მიუღწეველი დარჩება. ინდუსტრიალიზაციამდელ მაჩვენებელთან შედარებით 4-5 გრადუსით მატების შემთხვევაში, მოხსენებები მიუთითებს, რომ ზოგიერთ რეგიონებში სიცხე ნებისმიერი ასაკის ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ ნიშნულს მიაღწევს.

**დედამიწის კლიმატი „უკან არდაბრუნების“ რისკის წინაშე დგას, თუკი ტემპერატურა 1,5°C-ზე მეტით მოიმატებს.**

60 წელს გადაცილებულმა ადამიანებმა „აუნაზღაურებელი“ სიცხე შეიძლება გამოცადონ დედამიწის ზედაპირის 60 პროცენტზე, ტროპიკებში კი „გადაურჩენელი“ სიცხე რისკის ქვეშ დააყენებს ნებისმიერი ასაკის ადამიანს.

**„გადაურჩენელი სიცხის ზღვრები, სავარაუდოდ ახალგაზრდებისთვისაც გამოჩნდება. ასეთ გარემოში, დიდხანს გარეთ ყოფნა, თუნდაც ჩრდილში, ძლიერი ქარისა და კარგი ტენიანობის პირობებში, გამოიწვევს ლეტალურ სიცხის დარტყმებს“,** – ამბობს **მეთიუსი.**

მტკიცებულებები მიუთითებს, რომ საჭიროა გლობალური დათბობის შეზღუდვა, რისთვისაც აუცილებელია განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლა და ნახშირბადის მნიშვნელოვანი მარაგების დაცვა, რათა თავიდან ავიცილოთ ყველაზე უარესი პროგნოზები. თუმცა, როგორც მეთიუსი აღნიშნავს, ასევე საჭიროა მოვემზადოთ მსოფლიოსთვის, სადაც მრავალ ადგილას გარეთ გასვლა ჯანმრთელობისთვის სარისკო იქნება.

**კვლევა Nature Reviews Earth and Environment-ში გამოქვეყნდა.**

**მომზადებულია kcl.ac.uk-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.**

---

**სანთელი**

**თბილისის 47-ე საშუალო სკოლის 1959 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის**

**ომარ გოგიშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**



---

# ორ არასრულწლოვანზე მოძალადეს 17 წელი მიესაჯა!

(მეოთხე გვერდიდან)

**თავად მსჯავრდადებული საერთოდ უარყოფდა გოგონასთან სქესობრივ კავშირს და გამორიცხავდა ბავშვის მამობას.**

საქმეზე დანიშნულმა გენეტიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ 15 წლის გოგონას ბავშვი არა „ყოფილი ქმრის“, არამედ ამ საქმეზე მსჯავრდადებული პირისგან შეეძინა.

რაც შეეხება, მეორე არასრულწლოვან დას, გოგონა ჩვენებაში ადასტურებდა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მამაკაცი მასზეც ძალადობდა. ასევე, არასრულწლოვანმა ერთ-ერთ ჩვენებაში, 10 წლის ასაკში მასზე განხორციელებული ძალადობის სხვა ფაქტზეც ილაპარაკა. შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს მოზარდის მონაყოლი, დახურულ სასამართლო სხდომებზე აღარ გამოკვლეულა.

„პრაიმტაიმისათვის“ ცნობილი გახდა, რომ არასრულწლოვანი დები ხშირად არ ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. სკოლის დირექციისათვის ცნობილი იყო ის ფაქტიც, რომ ოჯახის წევრების მიმართ, მათ შორის შვილებზე განხორციელებული მუქარისათვის დაკავებული იყო და სასჯელს იხდიდა გოგონების მამაც, თუმცა მიმართა თუ არა დირექციამ მანდატურის, ან სოციალურ სამსახურს, ამის შესახებ სკოლაში ფაქტობრივად არაფერს ამბობენ.

**„მინდა გითხრათ, რომ სკოლას ყველაფერზე აქვს სათანადო რეაგირება. კონფიდენციალურია და ვერაფერს გეტყვით“** – განაცხადა სკოლის დირექტორმა.

კომენტარზე უარს ამბობენ სოციალურ სამსახურშიც, თუმცა კერძო საუბარში განმარტავენ, რომ გამოძიების პროცესსა და სასამართლო სხდომებში საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სრულფასოვნად მონაწილეობდნენ. მედიასთან კონტაქტზე უარს ამბობს თავად მსჯავრდადებულის ოჯახიც.

**რა პოზიცია აქვს და რა გახადა სადაო სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულის ადვოკატმა?**

ადვოკატი დავით ახალაური „პრაიმტაიმთან“ საუბარში განმარტავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას თითქმის არცერთ ნაწილში არ ეთანხმება:

**„მე ვთვლი, რომ გაუპატიურების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ჩემი არგუმენტები ემყარება იმას, რომ უფროსი გოგონა მანამდე გათხოვილი იყო, მას ჰქონდა გარკვეული გამოცდილება და მე მჯერა, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან კავშირი გახლდათ ნებაყოფლობითი. გარდა ამისა, მსჯავრდებული და გოგონები ერთმანეთთან გარკვეულ კომუნიკაციას აგრძელებდნენ და ჩვეულებრივად მოძალადესთან ურთიერთობაში, ცხადია აღარ დარჩებოდნენ. ასევე მჯერა, მამაკაცისათვის არ იყო ცნობილი, რომ უფროსი გოგონა 16 წელს მიუღწეველი პირია. ასე, რომ წინასწარ შეცნობას ადგილი ვერ ექნებოდა.**

**რაც შეეხება მეორე მოზარდს, საქმეში მხოლოდ ჩვენება დევს და მისი გაუპატიურების რაიმე სარწმუნო მტკიცებულება, ან ექსპერტიზის დასკვნა არ არსებობს. განაჩენს ამ ნაწილშიც არ ვეთანხმები. ასევე საქმეში არ იკვეთება, რომ სოციალურმა სამსახურმა სრულად გამოიყენა საკუთარი უფლებამოსილება ბევრი არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, დავარწმუნოთ სააპელაციო სასამართლო, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის შემადგენლობა საქმეში არ არის, ასევე ადგილი არ ჰქონია წინასწარ შეცნობას 140-ე მუხლის თანახმად და სასჯელი უნდა შემცირდეს“** – განმარტა დავით ახალაურმა.

არასრულწლოვანი დების საქმე სააპელაციო სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში უკვე გასაჩივრებულია.

---

## 67 წლის ბრედ სიგმონი პირველია, ვინც სიკვდილით ცეცხლსასროლი იარაღით დასაჯეს

**სამხრეთ კაროლინის მცხოვრები, 67 წლის ბრედ სიგმონი სიკვდილით ცეცხლსასროლი იარაღით დასაჯეს. სასიკვდილო განაჩენის ეს მეთოდი შეერთებულ შტატებში 2010 წლის შემდეგ პირველად გამოიყენეს.**



სიგმონს სასჯელის უმაღლესი ზომა მკვლელობისთვის ჰქონდა მისჯილი. მან აღიარა, რომ ყოფილი შეყვარებულის მშობლები ბეისბოლის ჯოხით მოკლა. ტყვიით სიკვდილი მან თავად არჩია, რადგან სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სხვა არჩევანს ბევრად უარესად თვლიდა.

## Tiffany-ს საყურეები გადაყლაპა

**ჯეიტან გილდერმა მაღაზიიდან 769 500 დოლარის ღირებულების სამკაული მოიპარა,** – წერს BBC-ი.

32 წლის ჯეიტან გილდერმა Tiffany & Co.-ს თანამშრომლებს ფლორიდაში განუცხადა, რომ პროფესიონალი სპორტსმენის წარმომადგენელია. მას რამდენიმე ძვირადღირებული სამკაული აჩვენეს. გილდერმა სამკაული მოიპარა და მაღაზიიდან გაიქცა. გაქცევისას მას თან ჰქონდა ორი წყვილი საყურეები და ბრილიანტის ბეჭედი, რომელიც, მისი თქმით, მაღაზიიდან გაქცევისას ხელიდან გაუვარდა. დაკავებამდე პოლიციელებმა დაინახეს, როგორ გადაყლაპა მან, სავარაუდოდ, მოპარული საყურეები. მოგვიანებით პოლიციამ გამოაქვეყნა რენტგენის სურათი, რომელზეც მამაკაცის მუცელში უცხო სხეული ჩანდა. პოლიციელების განცხადებით, გილდერმა Tiffany & Co.-ს ტეხასში მდებარე მაღაზია 2022 წელსაც გაძარცვა. კოლორადოში კი მის დასაკავებლად 48 ორდერია გაცემული.

## არასრულწლოვანმა ახალგაზრდა პოლიციელი მოკლა

**აშშ-ში, ნიუ-ჯერსიში, პოლიციამ 14 წლის მოზარდი დააკავა, რომელსაც პოლიციელის მკვლელობას ედავებიან. ინფორმაციას abcnews-ი ავრცელებს.**

პარასკევს საღამოს, პოლიციასა და რამდენიმე პირს შორის სროლა მოხდა, რა დროსაც ერთი პოლიციელი დაიღუპა. სროლის დროს 26 წლის პოლიციელი დაიჭრა, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

# საქართველოს ხელოვნების სასახლეს «ქრისტეს ოთხი მოციქული» და ნატურმორტი «ყვავილები ლარნაკით» შეემატა





**„კულტურის ისტორიის მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდს დასავლეთ ევროპული ხელოვნების სამი ნიმუში შეემატა – მე-16 საუკუნის ორი ნახატი „ქრისტეს ოთხი მოციქული“ და ნატურმორტი „ყვავილები ლარნაკით“**, – ამის შესახებ ხელოვნების სასახლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

**„სამუზეუმო კოლექციების შევსების პროგრამის ფარგლებში საქართველოში დაბრუნებული ნახატები საქართველოს კულტურის მინისტრმა, თინათინ რუხაძემ ხელოვნების სასახლის დირექტორთან, გიორგი კალანდიასთან ერთად დაათვალიერა.**

**საქართველოს კულტურის სამინისტრომ მე-16 საუკუნის უცნობი ვენეციელის ნამუშევარი „ქრისტეს ოთხი მოციქული“ იტალიაში, ხოლო მე-17 საუკუნის ნიდერლანდური სკოლის ნიმუში „ლარნაკი ყვავილებით“ ბელგიაში, 2024 წლის ბოლოს შეიძინა.**

**1921 წლამდე სამივე ნამუშევარი საქართველოში იყო. გასაბჭოების შემდეგ, „ქრისტეს ოთხი მოციქული“ ოლდენბურგების კოლექციიდან მოგვიანებით იტალიაში აღმოჩნდა. ნამუშევარი ერთი პანოს ორი ნაწილია. რესტავრატორების მიერ დათვალიერების შემდეგ, ნახატები ხელოვნების სასახლეში, გოთურ დარბაზში გამოიფინება. რაც შეეხება მე-17 საუკუნის ნიდერლანდური სკოლის ნიმუშს – „ლარნაკი ყვავილებით“, ნახატს პირველადი გაწმენდა ჩაუტარდა და ხელოვნების სასახლის საგამოფენო სივრცეში გამოიფინა.**

**საქართველოს კულტურის სამინისტრო განაგრძობს სამუზეუმო კოლექციების შევსების პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას“**, – აღნიშნულია ინფორმაციაში.



# 94 წლის შალვა ამონაშვილი: ვილოცოთ ერთმანეთის სიცოცხლეზე

**„მარტია, უფრო თბება და გულიც გვითბება, რაღაცას ველოდებით – მარტი მოლოდინებია, მარტი მომავალია. ბედნიერებას გისურვებთ მარტის თვეში, ჩემო ძვირფასებო და თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო ლოცვას, იმიტომ რომ დღეს ასეთი ამბავი გადამხდა: თოვლი რომ იდო ჩვენს ეზოში, ვერ გავდიოდი, რომ აგერ ჩვენს პატარა ეკლესიამდე მივსულიყავი და მელოცა.**

**ქრისტეს აქვს ნათქვამი, რომ სულში ილოცე, ჩაიკეტე შენს ოთახში და ილოცეო, მაგრამ მე იქაც რომ მინდოდა ლოცვა? ასე მგონია ხანდახან, რომ თუ იქ სანთელს დავანთებ და თქვენზე რამეს ვიტყვი, ის უფრო ასრულდება, ვიდრე, აგერ ეზოში რომ ვსეირნობ და მაშინ ვიფიქრებ თქვენზე. ჩავიცვი სასწრაფოდ, გავედი, როგორღაც ამ თოვლში ვიარე, შევედი ჩემს ეკლესიაშიც და დაგინთეთ სანთელი, დაგინთეთ მთელი სიყვარულით.**

**ბედნიერები იყავით, ჩემო კარგებო და ვილოცოთ ერთმანეთზე, არა ჩემზე, მომეცი, მომეცი, უფალო, ეს მომეცი, ის მომეცი რად გინდათ? გონება მოგცათ, სიყვარული მოგცათ, სიცოცხლე გაჩუქათ, მეტი რა უნდა შესთხოვოთ ღმერთს? უნდა გასცეთ! იბედნიერეთ!“**

# დანტე ალიგიერის საერთაშორისო საზოგადოებამ რომში დათო მაღრაძის ახალი წიგნი – ROMAAMOR დაბეჭდა



**წიგნის წინასიტყვაობა იტალიელ საზოგადო მოღვაწეს სენატორ მასიმო გარავალიას ეკუთვნის, ხოლო წიგნის შესავლის ავტორია დანტე ალიგიერის საზოგადოების გენერალური მდივანი ალესანდრო მასი.**

მასიმო გარავალია წინასიტყვაობაში აღნიშნავს: **„შემიძლია ვთქვა, რომ ეს გახლავთ ის ძალზე იშვიათი შემთხვევა, როცა ავტორის სახება, რომელიც ლექსებში ირეკლება, სრულიად ემთხვევა ავტორის პიროვნებას“.**




# თამთა მელაშვილის პოლონური წარმატება

**ქართველი მწერლის თამთა მელაშვილის შემოქმედებაში სასიამოვნო სიახლეა – მისი რომანი „შაშვი შაშვი მაყვალი“ პოლონეთში წლის საუკეთესო წიგნად დასახელდა. წიგნი პოლონურად მაგდა ნოვაკოვსკამ თარგმნა.**

რომანში მოთხრობილია პატარა ტრადიციულ ქართულ სოფელში მცხოვრები ეთეროს ამბავი. 48 წლის დაუქორწინებელ ქალს საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზია აქვს და ტკბება საკუთარი თავისუფლებით, თუმცა მის ცხოვრებაში დისტრიბუტორი კაცის გამოჩენა ყველაფერს თავდაყირა აყენებს.

წიგნის მთავარი გმირის – ეთეროს ამბები დიდი ხანია საქართველოს ფარგლებს გასცდა. რეჟისორმა ელენე ნავერიანმა რომანის მიხედვით მხატვრული ფილმი გადაიღო, სადაც მთავარ როლს ეკა ჩავლეიშვილი ასრულებს. ფილმმა არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა.

# ლეონარდო და ვინჩის საიდუმლო გვირაბები მილანში

**მკვლევართა ჯგუფმა მილანში მიწისქვეშა გვირაბები აღმოაჩინა, რომლებიც, დიდი ალბათობით, ლეონარდო და ვინჩის 1495 წლით დათარიღებულ ესკიზებშია.**

ეს გვირაბები თავდაცვითი კონსტრუქციის ნაწილია და მათ მეცნიერები თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარების გარეშე ვერც კი მიაგნებდნენ.

სფორცას ციხე-კოშკი XIV საუკუნეში იყო აშენებული. XV საუკუნის ბოლოს მილანის ჰერცოგმა ლეონარდო და ვინჩის და სხვა ოსტატებს ციხე-კოშკის ინტერიერის მოხატვა და გალამაზება დაავალა. ზუსტად ამ დროს და ვინჩიმ ესკიზები შექმნა, რომლებზეც ჩანს მიწისქვეშა გასასვლელები, რომლის ადგილმდებარეობაც აქამდე უცნობი იყო.

არქიტექტურის ისტორიის სპეციალისტმა ფრანჩესკა ბიოლომ ლაზერული სკანირებით აღმოაჩინა ოთახები და ფარული გასასვლელი, რომელმაც ისინი გვირაბებამდე მიიყვანა. მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ სფორცას ციხე-კოშკის ქვეშ კიდევ ბევრი საიდუმლო იმალება.

არქეოლოგიური გათხრები შეუძლებელია ქალაქის ინფრასტრუქტურის განსაკუთრებულობის გამო, ამიტომ მეცნიერები ციფრულ მეთოდებს მიმართავენ.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
**ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:**
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 12 მარტს**